საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 5 აპრილი, 2013 წელი.

№63 (7190)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბოჭდვური სიფცვაა, ფცუილებით და ჭირებით ბუნების გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

პირველი და, შესაძლოა, უკანასკნელი „ნაციონალური ტანგო“ რუსთაველზე

3

უტიფარი ნაციონალები კვლავ ზეწოლით ცდილობენ მხარდაჭერის მოპოვებას!

საბავშვო ბაღებში 19 აპრილის აქციისთვის აქტიურად ემზადებიან

18 აპრილს 17 საათზე ყველანი რუსთაველზე!

სახალხო დარბაზი ერის სადარაჯოზე გვიხმობს

3

დაბრუნდება თუ არა პარლამენტი დედაქალაქში?..

4

გვჭირდება თუ არა უხუცესთა საბჭო

საქართველო-რუსეთი:

ბრალდება „დათბობის“ ფონზე

8

„ასულნო იერუსალიმისანო, ნუ სტირთ ჩემზედა“...

7

„ობოლი ბიჭი ვარ, ღარიბი, ღატაკი“...

9

მთელი სულითა და გულით

სიცოცხლის დიდოსტატი

აკადემიკოსი ნოდარ ემუხვარი – 70

ღრმად პატივცემულო ბატონო ნოდარ!

თუ დამარცხებულ სიკვდილს ოდესმე კუდი ამოუძუებია და დღეს არაერთი ადამიანი სიცოცხლეს შეეხარის, ეს თქვენი, როგორც უებრო მკურნალის, დიდოსტატობის დამსახურებაა. თქვენი ცხოვრების წესით თქვენ ისიც ცხადი გახადეთ, რომ შვიდი ათეული წელიწადი ჯერ კიდევ შუახანია და არა სიბერის ზღვარი.

მთელ ქართულ სამედიცინო სამყაროში ცნობილია თქვენი დიდი ადამიანური კეთილშობილება, მეცნიერული პატიოსნება, მართლაცდა შესანატრი პროფესიონალიზმი და მოქალაქეობრივი ურყეობა.

ეჭვი არ გვეპარება, რომ თქვენი ხანგრძლივი ჯანმრთელი სიცოცხლითაც მაგალითს უჩვენებთ უამრავ მადლიერ პაციენტს.

მადლობა თქვენი დიდი კაცობისთვის. იმზეგრძელეთ თქვენს ლამაზ ოჯახთან ერთად.

სიყვარულითა და პატივისცემით
გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია.

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავთ, სხვაგან ვერ ნახავთ!..

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ ადგილმონაცვლეობა

ქუთაისის საკრებულოში „ნაცები“ უმცირესობაში გადაბარგდნენ

ქუთაისის საკრებულოში „ნაციონალურმა მოძრაობამ“ უმრავლესობა დაკარგა. როგორც „ინტერპრესნიუსის„ რეგიონული კორესპონდენტი ქუთაისიდან იუწყება, საკრებულოს ადმინისტრაციულ სამსახურს ფრაქციის დატოვების შესახებ განცხადებით „ნაციონალური მოძრაობის„ ხუთმა დეპუტატმა მიმართა. მათ შორის, ფრაქცია დატოვა საკრებულოს თავმჯდომარე თამაზ მარგველაშვილმა და ფრაქციის თავმჯდომარე კახაბერ ნემსიწვერიძემ.

როგორ ნემსიწვერიძემ განაცხადა, „ნაციონალურ მოძრაობაში“ საკუთარი თავი ამოწურა და ეცდება, საკრებულოში მუშაობა სხვა ფორმით გააგრძელოს.

„ნაციონალური მოძრაობიდან„ გასული წევრები ახალ ფრაქციას, სავარაუდოდ, მომავალ კვირას შექმნიან.

ქუთაისის 25-კაციან საკრებულოში „ნაციონალური მოძრაობა“ უმრავლესობას ამ დრომდე 14 წევრით ინარჩუნებდა. დღეიდან კი აღნიშნულ ფრაქციაში 9 პირი რჩება.

მთავარი პროკურორის მოხსნა-დანიშვნა კვლავ პრეზიდენტის პრეროგატივაა

მთავარი პროკურორის დანიშვნის წესში არაფერი შეიცვლება და ეს საკითხი ზუსტად ისევე დარჩება, როგორც ამას მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს. „პროკურატურის შესახებ“ კანონის თანახმად კი, მთავარ პროკურორს იუსტიციის მინისტრის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს პრეზიდენტი.

ამ მიმართულებით ცვლილებების შეტანას დეპუტატ კობა დავითაშვილის მიერ მომზადებული „პროკურატურის შესახებ“ საკანონმდებლო პაკეტი ითვალისწინებდა, რომელიც პარლამენტში ჯერ კიდევ ნოემბერში შევიდა და პირველი მოსმენით დღევანდელ პლენარულ სხდომაზე გადის. ზოგადად, დავითაშვილის საკანონმდებლო პაკეტის არსი და მიზანი იუსტიციის მინისტრისა და მთავარი პროკურორის უფლებამოსილებათა ერთმანეთისგან მკვეთრად გამიჯვნაში და იუსტიციის სამინისტროს სისტემაში პროკურატურის დამოუკიდებელ ორგანოდ ჩამოყალიბებაში მდგომარეობს.

მთავარი პროკურორის თანამდებობაზე მოხსნა-დანიშვნის საკითხთან დაკავშირებით ერთმანეთთან სამი მხარე დაობდა — თავად კობა დავითაშვილი, მთავრობა და პრეზიდენტი საპარლამენტო უმცირესობასთან ერთად. საკითხი მთავრობის მხრიდან „მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ კანონში ცვლილებების ინიცირებას მოითხოვდა, თუმცა პრეზიდენტმა კანონპროექტის პარლამენტში წარდგენას თანხმობა არ მისცა.

დავითაშვილის საკანონმდებლო ინიციატივის თანახმად, მთავარი პროკურორი იუსტიციის მინისტრის წარდგინებითა და მთავრობის თანხმობით, ხუთი წლის ვადით, თანამდებობაზე უნდა დაენიშნა და თანამდებობიდან გაეთავისუფლებინა პრემიერ-მინისტრს. ამასთან, წარმოდგენილი პროექტის გათვალისწინებით, მთავარ პროკურორად ერთი და იგივე პირის ზედიზედ ორჯერ დანიშვნა, არ შეიძლებოდა. კობა დავითაშვილი კანონმდებლობაში მთავარი პროკურორის იმპიჩმენტის პროცედურის ჩადების ინიციატივითაც გამოვიდა, რომლის მიხედვით, მთავარი პროკურორის მიერ კონსტიტუციის დარღვევის ან დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, მას იუსტიციის მინისტრის წარდგინებით, მთავრობის თანხმობით, თანამდებობიდან პრემიერ-მინისტრი გაათავისუფლებდა.

აღნიშნულ საკითხზე ცხარე დისკუსია ჯერ კიდევ ორი თვის წინ იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე გაიმართა, სადაც იუსტიციის სამინისტრო მთავარი პროკურორის ხუთი წლის ვადით დანიშვნის და ასევე მისი იმპიჩმენტის პროცედურის შემოღების ინიციატივას არ დაეთანხმა. მაშინ იუსტიციის მინისტრის მოადგილე ალექსანდრე ბარამიძემ განმარტა, რომ იმის გათვალისწინებით, რომ მთავარი პროკურატურა საქვეუწყებო დაწესებულებაა, ასეთი წესის ამოქმედება, სისტემური მიდგომის პრინციპს დაარღვევდა. იურიდიულ საკითხთა საპარლამენტო კომიტეტის სხდომაზე ბარამიძის არგუმენტები გაიზიარეს კომიტეტის ხელმძღვანელმა ვახტანგ ხმალაძემ, მისმა თანაგუნდელმა ირინა იმერლიშვილმა და ასევე „ნაციონალმა“ დეპუტატებმა ლევან ბეჟუაშვილმა და პაატა ლეჟავამ.

აღნიშნული პაკეტის განხილვა იურიდიული კომიტეტის ამ სხდომის შემდეგ წინ აღარ წასულა, რადგან მთავარი პროკურორის მოხსნა-დანიშვნის უფლებამოსილების პრეზიდენტიდან პრემიერ-მინისტრის პრეროგატივაში გადასვლის საკითხი „მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ კანონში ცვლილებებს საჭიროებდა. პრეზიდენტმა კი მთავრობას შესაბამისი კანონპროექტის ინიცირებაზე თანხმობა არ მისცა.

დაუმთავრებელი სკანდალი

ვალერიან თელია ნარკოლოგიურ შემოწმებას თავს არ აარიდებს?

საია-ს თავმჯდომარე იმედოვნებს, რომ ვალერიან თელია მედიკამენტური მკურნალობით ნარკოლოგიური შემოწმებისთვის თავის არიდებას არ ცდილობს, რაზეც სოციალურ ქსელებში ინფორმაცია ვრცელდება, — ამის შესახებ კახა კოჟორიძემ „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა.

— ვიდრე რაიმე სახის პრეპარატით მკურნალობა მოხდება, ანალიზის ნიმუშის გაკეთება იქამდეც შეიძლება. თუ ვინმე იმას იტყვის, რომ გარკვეული პრეპარატის გამოყენების გამო ანალიზი ვეღარ გაკეთდება, ეს იქნება არასწორი და არადამაჯერებელი ნაბიჯი. ვიმედოვნებ, ეს ასე არ მოხდება და ამგვარი რამ დაგეგმილი არ არის. ჩვენი ინფორმაციით, ვალერიან თელიას ნამდვილად აქვს ჯანმრთელობის პრობლემები, რის გამოც, ძალიან ვწუხვართ და მას მალე გამოჯანმრთელებას ვუსურვებთ, — განაცხადა კახა კოჟორიძემ.

მისივე ინფორმაციით, აჭარაში არასამთავრობო ორგანიზაციები საპროტესტო აქციის გამართვას აპირებდნენ, თუმცა მომხდარის გამო აქცია აღარ გაიმართება. ამავდროულად, ძალაში რჩება საია-ს მოთხოვნა ვალერიან თელიას ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ.

კოჟორიძის განმარტებით, საია ამ შემთხვევაში კონკრეტული პოლიციელის წინააღმდეგ არ მოქმედებს და ეს სამართალდამცავ ორგანოებში სწორი მიდგომებისა და ხედვების ჩამოყალიბებას ემსახურება.

აჭარის შს მთავარი სამმართველოს უფროსი ვალერი თელია რეანიმაციულ განყოფილებაშია მოთავსებული. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ ხელვაჩაურში მდებარე კლინიკა „მედინას“ ხელმძღვანელმა ჯუმბერ უნგიაძემ განუცხადა. როგორც უნგიაძემ განმარტა, პაციენტს სტრესული სიტუაცია და სისხლძარღვოვანი პრობლემები ჰქონდა. მისივე თქმით, პაციენტს დაენიშნა პრეპარატები, რომლებიც სისხლის მიმოქცევას აუმჯობესებს.

ვალერიან თელია წუხელ, დაახლოებით 23.30 საათზე, ბათუმის რესპუბლიკურ საავადმყოფოში იმყოფებოდა. ექიმების ინფორმაციით, მას დაუდგინდა კონვერსიული აშლილობა, გაიარა ნევროპათოლოგის კონსულტაცია, რის შემდეგაც საკუთარი სურვილით სამკურნალოდ კლინიკა „მედინაში„ გადაიყვანეს.

ვალერიან თელიასა და საია-ს აჭარის ორგანიზაციის თანამშრომელს შორის ბათუმში, 28 მარტს ინციდენტი მოხდა, გრიბოედოვის ქუჩაზე როინ ფარტენაძესა და ვალერიან თელიას შორის ფიზიკურ შეხლა-შემოხლასა და სიტყვიერ დაპირისპირებას ჰქონდა ადგილი.

აჭარის შს სამმართველოს უფროსს ვალერი თელიას, ისე როგორც მისი უწყების სხვა ყველა თანამშრომელს, ნარკოტესტზე შემოწმება ჩატარებული აქვს. ამის შესახებ შინაგან საქმეთა მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის სხდომის შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა.

ღარიბაშვილის ცნობით, მისი ხელმძღვანელობით უწყების ყველა თანამშრომელმა ნარკოტესტზე შემოწმება მისი შინაგან საქმეთა მინისტრად დანიშვნისთანავე ჩაიტარა.

ამასთან, შს მინისტრი სამარცხვინოს უწოდებს გავრცელებულ ინფორმაციას, თითქოს ვალერი თელია საავადმყოფოში ნარკოტიკების მიღების გამო მოხვდა.

ინტერპრესი

◎ ფეისბუკიდან

წერტილოვანი ფრაზები

● ორი ქუთაისელი ჩადის სომალიში. გიდი აფრთხილებს, ერთ ნაწილს შიდსი აქვს, მეორეს ტუბერკულოზიო.

— რაიო, რა თქვა მაგან?

— რაიო და ვინც ახველებს, მარტო იგენი იხმარეთო!

საქართველოს მოსახლეობიდან ნაწილი ნაცებს უჭერს მხარს, ნაწილი ოცნებას. მდა�. .

● ერთმა მეგობარმა დამიწერა, კსტაწი ეგ ის ვანოა, ბიძინამ „მაგარი მენეჯერი“ რომ უწოდაო :)) ნუთუ მართლა ვერ ხვდებით, რატომ თქვა ეს ბიძინამ? უპ. ყოვლისა, მიშა გააგიჟა და ვანოზე ეჭვები გაუჩინა... დატკვირეს კაცი იზმენებმა:)))) და მეორე, ამით მიშას, მის სექტას და, სხვათაშორის, ჩვენც დაგვანახა, აი ვანო არის „ის ერთადერთი“, ყველაზე „მაგარი“ ტიპი, ვინც კი ოდესმე ყოლია ნაცმოძრაობასო:))) აზრზე ხართ ხალხოო.))) ვანო რომ გეყოლება ყველაზე მაგარი მენეჯერი, რა დონის პარტია ხარ? ნენააააა:)) წარმოდგენაც მიჭირს:))))) ახლა მაინც ხომ „მიხთით“, რა იგულისხმა ბიძინამ?:)))))

● ჯერ მიკვირდა რატომ ატეხა სააკაშვილმა ერთი ამბავი რაბათის კომპლექსზე, რომელიც ისე გაარემონტა, რომ არავისთვის უკითხავს. ფაქტია, რომ რესტავრაცია დარღვევებით ჩატარდა, აეხლა კულტურის სამინისტრო ამას ასწორებს, მაგრამ ნაციონალები ცდილობენ თემის გასკანდალებას. პოლიტიკური ჯგუფი, რომელიც რამდენიმე წლის წინათ ეკლესიებს ტვირთმცლელებით ატარანებდა და ანგრევდა, დღეს სპეკულირებს რელიგიური თემებით. ამას აქვს ერთადერთი ახსნა — ნაცები ცდილობენ ეთნიკური და რელიგიური შუღლების გაღვივებას. ხვალ მერაბიშვილი მიდის მრგვალ მაგიდაზე და იქ გაირკვევა როგორც რესტავრაციის, ასევე რაბათის გარშემო მისი ძმაკაცის მიერ გახსნილი „პიერ კარდენების“ საკითხებიც.

● ცნობილი და გახმაურებული ამბავია — „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ კიდევ უფრო ახალგაზრდა დირექტორი კახა კოჟორიძე, ვიდრე ირაკლი ღარიბაშვილსა და მის უწყებაზე იერიშს მიიტანდა, მანამდე ერთი დღით ადრე სასტუმრო „მერიოტში“ გიგა ბოკერიას შეხვდა, ხოლო მოგვიანებით — დათო ბაქრაძეს, რომელსაც დაახლოებით სამი საათის განმავლობაში ემუსაიფებოდა სასტუმრო „რადისონის“, ანუ ძველი „ივერიის“ ბარში... ერთიმეორის მიყოლებით იწერება და იდგმება სპექტაკლები. ფარდის დაშვებამდე ოვაციები და აპლოდისმენტები რესპებს დარჩებათ მხოლოდ.

● მიშიშიკი მაწუხებდა, არაფერი არ მშველოდა რა არ ვცადე გრეჩიხომიცინის ჩათვლით, არაფერმა არ გაჭრა, ბოლოს ბიძინომიცინის მიღება დავიწყე და ქე გამოვკეთდი.

● ვერ დავინახე ვერც ერთი პროცენტით, რომ საიას ხელმძღვანელი, თავისი თანამშრომლის ცუდი ქცევის ფაქტსაც გმობდეს. როცა ნასვამი მართავ საჭეს, მესმის, რომ ეს ქართველთათვის ჩვეულია, მაგრამ....

● ვინ აირჩია ქართველმა ხალხმა, — ბიძინა ივანიშვილი თუ რესპუბლიკური პარტია?

როგორც ნაწინასწარმეტყველევი და მრავალგზის ნათქვამი იყო, ყველაფერი ისე მოხდა, — 27 აპრილს დანიშნულ შუალედურ საპარლამენტო არჩევნებში ქართულმა ოცნებამ და პირადად ბიძინა ივანიშვილმა ნაძალადევის რაიონის დეპუტატობის მაჟორიტარ კანდიდატად ქალბატონი თამარ კორძაია წარადგინეს!..

გია გაბრიჭიძე

◎ ალიან-ჩალიანი

თურქეთი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენით დაინტერესებულია

ამის შესახებ ჟურნალისტებს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილმა თურქეთის ელჩისა და დეპუტატებს შორის შეხვედრის შემდეგ განუცხადა.

მისი თქმით, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შემთხვევაში რეგიონი კიდევ უფრო მიმზიდველი გახდება ყველა თვალსაზრისით და თურქეთიც დაინტერესებულია ამით.

„საქართველოს პარლამენტში ძალიან კარგი ტრადიცია დამკვიდრდა ელჩების სტუმრობის. საუბარი ხდება ყველა იმ საკითხზე, რომელიც ორი ქვეყნის ურთიერთობას შეეხება. ბატონმა ელჩმა მიმოიხილა ყველა ის პოტენციალი, რომელიც ორი ქვეყნის ურთიერთობაშია. საუბარია დამატებით პროექტებზე, დამატებით გამშვებ პუნქტებზე ორი ქვეყნის საზღვარზე. რაც გაუმჯობესებს მოქალაქეების გადაადგილებას. ვმსჯელობთ თურქეთის დახმარებაზე ნატო-ში ინტეგრაციის პროცესში. ამაზე ყურადღება თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ვიზიტის დროსაც გამახვილდა და ველით მათ მხარდაჭერას. ვსაუბრობთ იმაზე, რომ თურქეთი სერიოზულად არის დაინტერესებული საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენითა და კონფლიქტების მოგვარებით. დღეს კიდევ ერთხელ ხაზი გაესვა, რომ ყველა საკითხი ორი ქვეყნის ურთიერთობაში გადაწყდება მხოლოდ დიალოგის გზით და ისე, რომ ორივე მხარისთვის იყოს სასარგებლო, — განაცხადა დავით უსუფაშვილმა.

აქციის მონაწილენი არ იშლებიან...

კანცელარიასთან აქციის მონაწილეებს რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი შეხვდა, თუმცა, ისინი დაშლას მაინც არ აპირებენ. როგორც აქციის მონაწილეებმა განაცხადეს, მათ მოუსმინეს პაატა ზაქარეიშვილს, თუმცა მათი თხოვნაა, რომ ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრა შედგეს და აქედან გამომდინარე, აქციას აგრძელებენ.

პაატა ზაქარეიშვილი აქციის მონაწილეებს შეპირდა, რომ 15 აპრილს მათთან ჩავა და იქ განიხილავს ყველა იმ პრობლემას, რაც მოსახლეობას აწუხებს.

პაატა ზაქარეიშვილმა შეხვედრაზე განაცხადა, რომ ის დღეს სწორედ პრემიერ-მინისტრის დავალებით მივიდა და აღნიშნა, რომ ეს მისი მოვალეობაც არის. ზაქარეიშვილი აცხადებს, რომ აქციის მონაწილეებთან შეხვედრა რომ შედგეს, კონკრეტული პასუხები მაინც არ იქნება, რადგან მას განხილვა სჭირდება. პაატა ზაქარეიშვილმა აქცია უკვე დატოვა. მიუხედავად ამისა, აქციის მონაწილეები დაშლას არ აპირებენ.

ინტერპრესი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ ვითარება

პირველი და, შესაძლოა, უკანასკნელი „ნაციონალური ტანგო“ რუსთაველზე

19 აპრილის შემდეგ ქვეყანაში სიტუაციის რადიკალურ ცვლილებას აანონსებს ვანო მერაბიშვილი. მისი ნათქვამი ბევრმა ცინიკურად, ბევრმაც სასურველ რეალობად აღიქვა და პრეზიდენტის გადადგომაც იწინასწარმეტყველა, მით უფრო, რომ მერაბიშვილი ხალხს სიურპრიზებსაც დაპპირდა. ნაციონალების ცხრაწლიანი მმართველობისგან გაწამებული ხალხისთვის კი სააკაშვილის გადადგომა ყველაზე სასურველი სიურპრიზი აღმოჩნდა.

შედარებით ამაღლებული შეფასებებიც გაკეთდა – იქნებ, სწორედ 19 აპრილს შედგეს ნაციონალების ერთგვარი საყოველთაო მონანიება?! თუმცა, ასეთი მოლოდინი რომ ოცნებების სფეროდანაა, ესეც ფაქტია – ნაციონალებს მონანიების სურვილი არასდროს გასჩენიათ.

ლევან ბერძენიშვილის აზრით, 19 აპრილის შემდეგ არაფერი შეიცვლება, „ნაციონალური მოძრაობა“ არც დამთავრდება და არც გაძლიერდება. რაც შეეხება სიურპრიზს, ლევან ბერძენიშვილი ვანო მერაბიშვილს თავადაც ჰპირდება, რომ 19 აპრილს, რა თქმა უნდა, იქნება სიურპრიზი. თუმცა, მთავარი სიურპრიზი იქნება ის, რომ იმ მასშტაბებს, გაქანებას, სურვილებს, რაც ნაციონალებს აქვთ, შანსი არ აქვს ჩვენს საზოგადოებაში. ამ პარტიის აღმავლობის შანსი არ არსებობს და უფრო მეტიც, ვანო მერაბიშვილის შანსი არც არასდროს ყოფილა ქართულ საზოგადოებაში.

ამასთან, მიიჩნევს, რომ ახალმა ხელისუფლებამ მათ აქციას ხელი არ უნდა შეუშალოს, თუნდაც ვანო მერაბიშვილის ეგიდით ბევრი ადამიანი შეიკრიბოს.

„მიჭირს, საერთოდ, ვისაუბრო იმ ხალხის შესახებ, რომლებიც ამ ლიდერის ირგვლივ გაერთიანდებიან. ისინი დაინახავენ თავის ძალას. ძალა უძალოთა ცოტა უფრო მეტი რამ იყო, მაგრამ კარგით, იყოს ასე. 19 აპრილს იმის მოლოდინი მაქვს, თუ როგორ იქცევა „საპნის ბუშტად“ ის ახალი ოცნება, რომელიც გაუჩნდა მერაბიშვილს და „ნაციონალურ მოძრაობას“. ისინი ამბობენ, არ გაიმეოროთ ჩვენი შეცდომებიო, მაგრამ ერთხელ მაინც თუ გსმენიათ, ეღიარებინოთ საკუთარი შეცდომები? ამის თქმას ვერც 19-ში შეძლებენ“, – აცხადებს დეპუტატი.

ამის მიუხედავად, იგი გულშემატკივრობს, რათა გადარჩეს „ნაციონალური მოძრაობა“, როგორც პარტია. ოღონდ დარწმუნებულია, რომ მერაბიშვილთან ერთად ეს პარტია ვერ გადარჩება იმ უბრალო მიზეზით, რომ ის არ არის ის ლიდერი, რომლითაც შეიძლება რამე გადარჩეს. უფრო მეტიც, მერაბიშვილის შესახებ ყველაფერი შეიძლება ითქვას, გარდა ქარიზმატულობისა.

საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი გია ცაგარეიშვილი აცხადებს, რომ ამ ადამიანებს შეკრების უფლება აქვთ და მერაბიშვილისგან და მისი თანაპარტიელებისგან განსხვავებით, რომლებიც ამგვარ აქციებს არბევდნენ, ხალხს იტაცებდნენ, ხეებზე აბამდნენ, აწამებდნენ, აპატიმრებდნენ და შემდეგ ცოცხებით აუპატიურებდნენ, „ქართული ოცნება“ ამას არ დაუშვებს.

„ყოველდღიურობაში იკვეთება „ნაცმოძრაობის“ აბსოლუტურად ამორალური სახე, საქართველოს პარლამენტში და მის ფარგლებს გარეთაც ეს კარგად ჩანს, ამიტომ მათზე მორალური კატეგორიებით მსჯელობა ძალიან ძნელია. რა პერფორმანსიც არ უნდა მოაწყონ მათ, ესეც მათი უფლებაა, ამის ნიჭი და ტალანტი მათ აქვთ და პარტიაში მრავალრიცხოვან მსახიობთა ჯგუფი ჰყავთ, რომლებიც ამავე საქმიანობით არიან დაკავებულნი საქართველოს პარლამენტში“, – აცხადებს გია ცაგარეიშვილი, თუმცა, ვერაფრით ხსნის ნაციონალების შეკრების არსს.

გარდა ამისა, გია ცაგარეიშვილი მიიჩნევს, რომ ვანო მერაბიშვილი სანდრო გირგვლიანის საშინელი, უმაგალითო წამებისა და მკვლელობის ერთ-ერთი მთავარი მონაწილეა, ამიტომ მას არ აქვს მორალური უფლება, ვინმეს ჭკუა დაარიგოს. ამას ემატება სახალხო დამცველის მიერ ლაფანყურის ოპერაციასთან დაკავშირებით დადგენილი საშინელი ფაქტებიც. ამიტომ ხალხმა უნდა გააკეთოს არჩევანი, უნდათ მათ 19 აპრილის უმსგავსობაში მონაწილეობა მიიღონ? ეს მათი გადასაწყვეტია.

„მოვლენებს არ დავასწრებ, უდანაშაულობის პრეზუმფციას ვიცავ, ხომ არ დავემსგავსები მას, როცა იგი საცვლების ამარა აკავებდა ადამიანებს და დამნაშავეებად რაცხავდა?! მას განსჯის სამართლიანი სასამართლო ლაფანყურისთვის, გირგვლიანისთვის, 7 ნოემბრისთვის, 26 მაისს დახოცილი ბიჭებისთვის. ესეც სიმბოლურია, მერაბიშვილი მანდ ხალხს ხოცავდა და ახლა გვეუბნება, მიტინგზე გამოდითო. მათ ჰგონიათ, ჩვენი საზოგადოება სკლეროზიანია?! დაავიწყდათ, როგორ ექცეოდნენ თანამოქალაქეებს? ისე ბედის ირონიაა, ხომ ხედავთ, როგორ უკუღმა შეტრიალდა ივანესთვის ცხოვრება?! იქ, სადაც წამლავდა ხალხს გაზით, ხოცავდა და მაღაზიის თავზე აწყობდა, ახლა მიტინგს მართავს“, – აღნიშნა გია ცაგარეიშვილმა.

ექსპერტი რამაზ საყვარელიძე აცხადებს, რომ ბოლო დროს გახშირდა მოარული ხმები, თითქოს, ნაციონალები მონანიების მსგავსს აპირებენ, ისეთი ჭორიც გავრცელდა, რომ შეიძლება, პრეზიდენტის გადადგომის თემაც წამოტივტივდეს.

„შეიძლება, ცუდი პიროვნება ვარ, მაგრამ რაღაც არ მჯერა ასეთი ცვლილებების. უბრალოდ, ვფიქრობ, რომ ნაციონალებს არ აქვთ კონკრეტული გეგმა და რას გააკეთებენ, თვითონაც მკაფიოდ არ იციან. თუმცა, შეპირებით ხომ უნდა შეჰპირდნენ ხალხს რაღაც რადიკალურს? ამიტომ ამ სიტყვების იქით რეალურად რამე იგულისხმება თუ არა, თუ ეს მხოლოდ ხმაურია – ვერ გეტყვით“, – აცხადებს რამაზ საყვარელიძე.

ამასთან მიიჩნევს, პრეზიდენტი თუ გადადგება ან რაიმე ანალოგიური მოხდება, ეს იქნება რადიკალურიც, ეს იქნება მონანიებაც და ნამდვილად ახალი სიტყვა ქართულ პოლიტიკაში. თუმცა ნაციონალები არ გვანებივრებენ ასეთი ნაბიჯებით და ძნელია იმის პროგნოზი, რა იქნება მომდევნო დღეს, ანუ 20 აპრილს.

ექსპერტი არც იმას გამორიცხავს, რომ ნაციონალების მიერ დაანონსებულ აქციაში არაერთი ადამიანი ჩაერთოს იძულებით, ანუ „უდანაშაულოდ“. ისინი ის ადამიანები არიან, რომლებსაც პოლიტიკასთან საქმე არ აქვთ.

თუმცა, ექსპერტი ასკვნის, რომ გვინახავს ასეთი ნაკლებად სერიოზული პროცესები ნაციონალების მხრიდან და, შესაძლოა, ახლაც არ იყოს სერიოზული რამ. ამდენად, იგი იმედოვნებს, რომ ყველაფერი მსუბუქად დასრულდება.

მანანა ნოზაძე

◎ გავერთიანდეთ!

18 აპრილს 17 საათზე ყველანი რუსთაველზე!

სახალხო დარბაზი ერის სადარაჯოზე გვეპატიჟება

„ჩვენ ვალდებულნი ვართ, დიდ წინაპართა ღვაწლი და ამაგი არ დავიიწყოთ. ვუპატრონოთ ყოველივე იმას, რაც შეუქმნიათ და გადმოუცია ჩვენთვის და ისევე გადავცეთ ჩვენს შთამომავლობას, როგორც მათ დღემდე მოგვიტანეს: რწმენა ჩვენი – მართლმადიდებლობა; დედასამშობლო – ჩვენი საქართველო; ენა ჩვენი – წმინდა ქართული“ – ეწერა სრულიად საქართველოს სახალხო დარბაზის მოსაწვევ ბარათზე, რომელიც 3 აპრილს რუსთაველის თეატრში ეროვნულ დარბაზობაზე გვეპატიჟებოდა. მართლაც, ამ დღეს უამრავმა სტუმარმა მოიყარა თავი. ძალიან ბანალური სიტყვები სამშობლოს სიყვარულზე, ნაცნობი პათოსი და პოლიტიკური ვითარების ცოტა არ იყოს ზედაპირული ანალიზი ერთხანს გაფიქრებინებდა, რომ ესეც მორიგი გულზე მჯიღის ცემა იყო, თუმცა, სამშობლო რომ ჯერ ისევ გასაჭირშია და ერისა და ბერის გაერთიანების აუცილებლობა დღის წესრიგიდან არ მოხსნილა, ფაქტია...

სრულიად საქართველოს სახალხო დარბაზი არჩევნების დამთავრებისთანავე 5 ოქტომბერს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით დაფუძნდა და რატომღაც გამარჯვების ეიფორიაში მყოფ საზოგადოებას მაშინვე ამცნო, რომ რეალური გამარჯვება ისევ შორსაა. ორგანიზაციის სტრატეგია ასეთია: თითოეული ქართველის უმთავრეს მიზნად უნდა იქცეს **ღმერთი, სამშობლო, ადამიანი.** უნდა დაიგმოს ყველა ანტიეროვნული ძალა, მოხდეს ბოლო ოცი წლის მანძილზე ხელისუფლების მოღვაწეობის სამართლებრივი შეფასება.... სამშობლო გვიხმობს, ერი და ბერი სამშობლოს სადარაჯოზე – მოგვიწოდებენ დამფუძნებლები **ავთანდილ იოსელიანი, ჯაბა ნებიერიძე, გია თოიძე, გოდერძი ოთარაშვილი...**

დარბაზში გაწევრების მსურველებს ორგანიზაციის ოფისში, ძმები კაკაბაძეების ქუჩაზე, კინოს სახლში ელოდებიან.

საღამო ილია მეორეს ლოცვითა და საგალობლით გაიხსნა. მეუფე ანანიამ დალოცა დარბაზი: **„დღეს კურთხეული დღეა, ინება მაღალმა ღმერთმა და თავისი შვილები შეკრიბა ამ დარბაზში. დალოცვილი იყოს სახალხო დარბაზი. ეკლესია მუდამ პატრონობდა ქართველ ერს, როცა დაშლის პირას იყო საქართველო, ეკლესია აერთიანებდა მას. ნაჩქარევი გადაწყვეტილებით მართლმადიდებლობა სხვა კონფესიებს გაუთანაბრეს და ასე წაართვეს ეროვნულობა. იმედია, როცა დარბაზი მოძლიერდება, ამ საკითხზეც იზრუნებს,“** – აღნიშნა მეუფემ. როგორც არაერთხელ ითქვა, „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლამ სერიოზული ფსიქოლოგიური გარდატეხა შეიტანა საზოგადოებაში. ამიტომაც დარბაზის შემქმნელები იმედოვნებენ, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი ქვეყანას ფეხზე დააყენებს. მათ ოფიციალურად მიმართეს ილია მეორესა და ბიძინა ივანიშვილს:

„უწმინდესო, მხოლოდ თქვენ, როგორც ერის სულიერ მამას, ხოლო ბიძინა ივანიშვილს, როგორც ერის წინამძღოლს, დიდი გავლენა გაქვთ საზოგადოებაზე. ხელისუფლება იცვლებოდა, ხოლო ეკლესია და მისი საჭეთმპყრობელის იდეები უცვლელია. ბატონო ბიძინა, თქვენი წარსული გაიგივებულია ქველმოქმედებასთან. მარტო ის კმარა, რომ სამება ააშენეთ და ხელისუფლება შეცვალეთ. ერის სულიერებაზე პატრიარქი ზრუნავს, თქვენ – ერის ფიზიკურ გადარჩენაზე უნდა იზრუნოთ. გაუძეხით ერს და გადაარჩინეთ სულიერი, ფიზიკური და ზნეობრივი განადგურებისაგან!“

მათ ასევე მიმართეს საერთაშორისო ორგანიზაციებს, სადაც აღნიშნულია, რომ ქვეყანა ჯერ კიდევ დგას სამოქალაქო დაპირისპირების ზღვარზე და მოუწოდეს, კანონიერებისა და საერთაშორისოდ აღიარებული ნორმების შესაბამისად, ქართველმა ერმა თავად აირჩიოს ხელისუფლება.

დარბაზს რეგიონებში თავისი ორგანიზაციები, იგივე სადროშოები ჰყავს, რომლებიც ყველა ქალაქსა თუ სოფელში კოორდინაციას გაუწევენ მის მუშაობას.

და რაც ყველაზე საინტერესოა, თბილისის ორგანიზაციის ხელმძღვანელმა თინათინ დოგრაშვილმა აღნიშნა: **„დარბაზი აცხადებს, რომ ნაციონალურმა მოძრაობამ მოაწყო ერის გენოციდი. არავითარი კოაბიტაციაl ოცნებით აღმაშენებელს დიდგორი არ მოუგია, ქართველი ჯვრითა და ხმლით იცავდა თავის ღირსებას. მოგიწოდებთ ყველას, 18 აპრილს, 17 საათზე გამოვიდეთ რუსთაველის გამზირზე. არ მივცეთ უფლება, 19 აპრილს დასცინონ ქართველ ხალხს. გელოდებით...“**

დარბაზობის მიწურულს ერთ-ერთი მთავარი მოწოდება სწორედ ეს იყო. სტუმრები ამ იდეას ტაშით შეეგებნენ, რაც იმის დასტურია, რომ ძალიან ბევრი მართლაც გეგმავს რუსთაველის გამზირზე მისვლას. საზოგადოების ეს ნაწილი მიიჩნევს, რომ ასე შეიძლება გამოხატო საქართველოს სადარაჯოზე ყოფნა.

და რომ .... **სამშობლო გვიხმობს!!!**

თეა მოსია

◎ არ გათეთრდების ყორანი...

უტიფარი ნაციონალები კვლავ ზეწოლით ცდილობენ მსარდაჭერის მოპოვებას!

საბავშვო ბაღებში 19 აპრილის აქციისთვის აქტიურად ემზადებიან

19 აპრილს „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ფართომასშტაბიანი აქცია დააანონსა, რომელიც რუსთაველის გამზირზე, პარლამენტის ყოფილ შენობასთან უნდა გაიმართოს. „ნაციონალური მოძრაობის“ გენერალური მდივანი ვანო მერაბიშვილი 19 აპრილს აქციაზე მისულ აქტივისტებს დაუვიწყარ სიურპრიზს ჰპირდება.

„ჩვენი ოპონენტებისაგან განსხვავებით, ჩვენ აქციებზე მკვდრების გაცოცხლების ანონსს არ ვიძლევით. ჩვენ მოსახლეობას ვპირდებით სიურპრიზს, რომელსაც ისინი კარგა ხანი ვერ დაივიწყებენ. რა იქნება ეს სიურპრიზი, 19 აპრილს გახდება ცნობილი,“ – განაცხადა მერაბიშვილმა.

როგორც ცნობილია, „ნაციონალური მოძრაობა“ ამ აქციისთვის აქტიურად ემზადება. კერძოდ, პარტიის ლიდერები, მათ შორის გენერალური მდივანი ვანო მერაბიშვილი რეგიონებში მოგზაურობენ და 19 აპრილის აქციისთვის ხალხის მობილიზებას ცდილობენ. წინასაარჩევნო პერიოდისგან განსხვავებით, მათ ხელთ იმდენი ბერკეტი აღარ არის, რომ აქციაზე ათეულ ათასობით ადამიანის მობილიზება გააკეთონ, რისი მდიდარი გამოცდილებაც გააჩნიათ. ყველას გვახსოვს, როგორ ხდებოდა „ნაციონალური მოძრაობის“ პარტიულ ღონისძიებებზე ადამიანების შეკრება. ძირითადად, ეს საჯარო სამსახურებში დასაქმებული პირები იყვნენ, რომლებისთვისაც ასეთ ღონისძიებებზე დასწრება სავალდებულო იყო და ხშირ შემთხვევაში, სამსახურის შენარჩუნების ტოლფასიც.

იხ. 5 გვ.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ კანონმდებლები

დაბრუნდება თუ არა პარლამენტი დედაქალაქში?..



მმართველი გუნდი პარლამენტის აპარატის დედაქალაქში დაბრუნების თაობაზე მსჯელობს. For.ge-ს ინფორმაციით, ვიცე-სპიკერს ზვიად ძიძიგურს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილისგან, მაისის ბოლომდე, თბილისში შენობის დაქირავება აქვს დავალებული, სადაც აპარატი რუსთაველის გამზირზე არსებული ისტორიული შენობის გარემონტებამდე უნდა განთავსდეს.

აღსანიშნავია, რომ თბილისში, საკანონმდებლო ორგანოს აპარატის განთავსების ერთ-ერთ ალტერნატიულ ადგილად ეროვნული ბანკის შენობა სახელდება.

პარლამენტის აპარატის გარშემო არსებული ვითარების გარკვევის მიზნით, For.ge ზვიად ძიძიგურს დაუკავშირდა, რომელმაც აღნიშნული ინფორმაცია არც უარყო და არც დაადასტურა.

დეპუტატის თქმით, აპარატის თბილისში დაბრუნების შესახებ მოსაზრებები კი გამოითქვა, მაგრამ ეს იდეა ვერ განხორციელდება, რადგან თბილისის პარლამენტის შენობის რეაბილიტაციის გარდა პრობლემა საკანონმდებლო ბაზაა.

„საკონსტიტუციო ცვლილებების განხორციელების გარეშე, ასეთი ნაბიჯების გადადმა გამორიცხულია. პოლიტიკური შეხვედრის დროს, ასეთი მოსაზრებები იყო გამოთქმული, მაგრამ ამას საკონსტიტუციო ცვლილებების უზრუნველყოფა სჭირდება. აპარატის გადატანა არ არის რეალური“, — აცხადებს დეპუტატი.

აპარატის თბილისში დაბრუნება წარმოუდგენლად მიაჩნია ვიცე-სპიკერს მანანა კობახიძეს, რომელიც თვლის, რომ დედაქალაქში პარლამენტი და აპარატი ერთად უნდა დაბრუნდეს.

„უაპარატოდ ვერ ვიარსებებთ. სასესიო პერიოდში, პარლამენტის თბილისში დაბრუნება ძალიან ძნელი იქნება, რადგან აპარატი სრული დატვირთვით მუშაობს. ალბათ, სანამ საზაფხულო არდადეგებზე არ გავალთ, პარლამენტის დაბრუნება ტექნიკურადაც შეუძლებელი იქნება. ჩვენი დროის დიდი ნაწილი გზაში არ უნდა იხარჯებოდეს. მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში პარლამენტი და მთავრობა ცალ-ცალკე არ ფუნქციონირებენ. ჩვენი ამოცანაა, რომ საკონსტიტუციო ცვლილებები მალე მივიღოთ და არ გამოვრიცხავ, რომ მას მხარი ოპოზიციამაც დაუჭიროს. მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტის ახირებაა — ქუთაისს ხელი არ ახლონ, უმცირესობა ხვდება, რომ პარლამენტი თბილისში უნდა იყოს. თუ ზაფხულში ინტენსიურად ვიმუშავეთ და პარალელურად, შენობის მშენებლობა დაიწყება, შესაძლოა, სესიები თბილისში საშემოდგომო სესიიდან ჩატარდეს“, — დასძინა კობახიძემ.

თბილისში პარლამენტის აპარატის დაბრუნების შესახებ არაფერი სმენია აპარატის ხელმძღვანელს ზურაბ მარაქველიძეს.

ამ დრომდე გაურკვეველი რჩება, აპარატი თბილისში მაისში დაბრუნდება თუ საშემოდგომო სესიაზე, მაგრამ for.ge-ს ინფორმაციით, თბილისში, პარლამენტის შენობაში, ბიუროს დარბაზისთვის განკუთვნილ კაბინეტში, რამდენიმე მეტრიანი მაგიდა უკვე განთავსდა და შენობაში დაწყებულია პარლამენტის სპიკერისთვის განკუთვნილი სამუშაო კაბინეტის მოწყობაც.

რაც შეეხება რუსთაველის გამზირზე არსებული პარლამენტის შენობის რემონტს, ისტორიული შენობის რეაბილიტაცია პირველ მარტს უნდა დაწყებულიყო, თუმცა, ამ დრომდე, საკანონმდებლო ორგანოში სარემონტო სამუშაოები არ დაწყებულა. ამის ოფიციალურ მიზეზად ის დასახელდა, რომ სამშენებლო კომპანიები სატენდერო მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებენ, მაგრამ for.ge-ს ინფორმაციით, რიგი კომპანიების უკან „ნაციონალური მოძრაობის“ გავლენიანი ლიდერები დგანან, რომლებიც ხშირად საბოტაჟს ეწეოდნენ.

როგორც ცნობილია, წინა ხელისუფლების პირობებში, პარლამენტის ილია ჭავჭავაძისა და რესპუბლიკის დარბაზები, ასევე პლენარული სხდომის დარბაზი დაანგრიეს. უწყებიდან გაიტანეს ინვენტარი და ავეჯი. ახალი ხელისუფლების პირობებში კი, ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს რუსთაველის გამზირზე მდებარე შენობა დაუბრუნდა და ისტორიული ნაგებობა უკვე პარლამენტის ბალანსზე ირიცხება.

წინა მთავრობის გადაწყვეტილებით, თავდაპირველად შენობა ეკონომიკის სამინისტროს დაექვემდებარა, რომელმაც მოგვიანებით, შენობა აქტებით „საპარტნიორო ფონდს“ გადასცა.

თეონა მანაგაძე

◎ არის წინადადება!

ხნიერი ხარის რქა მართლა ხნავს?..

გვჭირდება თუ არა უხუცესთა საბჭო

როგორც ჰაერი სჭირდება ცოცხალ ორგანიზმს, ისე გვჭირდება დღეს საქართველოში უხუცესთა საბჭო.

უხუცესთა ინსტიტუტი, ისე როგორც ძველად, დღესაც დიდი ავტორიტეტითა და გავლენით სარგებლობს კავკასიაში. და თუ საქართველოს სურს კავკასიელებთან ურთიერთობა, აუცილებლად უნდა იყოლიოს უხუცესთა საბჭო. განვლილი 25 წელი არ იქნებოდა ჩვენი ქვეყნისათვის ასეთი დამანგრეველი, უხუცესთა საბჭო რომ გვყოლოდა, რომელიც რეკომენდაციას მისცემდა ხელისუფლებას, რაღაც სიდიდით მაინც, დაეცვათ მემკვიდრეობა.

უხუცესთა საბჭო ვერ ჩაენაცვლება პარლამენტს, მთავრობას ან პრეზიდენტსა და პრემიერ-მინისტრს. უხუცესთა აზრს, კეთილ რჩევებს მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათი ექნება.

ჩვენი აზრით, უხუცესთა საბჭო არ უნდა იყოს მუდმივმოქმედი ორგანო. კვარტალში ერთხელ, ან წელიწადში ორჯერ მათი შეკრება მიმდინარე მნიშვნელოვან საკითხებზე რეკომენდაციების მისაღებად, სრულიად საკმარისად გვესახება. არც არჩევნებით უნდა იქნენ დასახელებული უხუცესთა საბჭოს წევრები (სად არის ამდენი ფული). მუნიციპალიტეტის საკრებულოებმა რაიონებში, თემებსა და სოფლებში, 65 წლისა და მეტი ასაკის მქონე მოქალაქეებიდან უნდა შეარჩიონ აქტიური პირები უხუცესთა საბჭოში წარსადგენად. უხუცესთა საბჭოში უხუცესები დააყენებენ იმ კონკრეტულ (ძირითადად ეკონომიკურ) საკითხებს, რომელთა გადაჭრასაც სჭირდება ხელისუფლების დახმარება, ან სხვა მუნიციპალიტეტთან შეთანხმებული მუშაობა. უხუცესთა საბჭო შედარებით მარტივად შესძლებს სხვადასხვა საკითხების სისტემაში განხილვას და მათ კოორდინაციაზე რეკომენდაციების მიღებას.

როგორც ცნობილია, წელს აღმასრულებელი ხელისუფლება უპრეცედენტოდ დიდი რაოდენობით ეხმარება სოფელს, სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ ადამიანებს. მაგრამ მიიღებს ქვეყანა დახმარების ადეკვატურ შედეგს? რასაკვირველია, მოიმატებს სასოფლო პროდუქტების რაოდენობა, მაგრამ რა რაოდენობითაც, მოიმატებს პროდუქტების რაოდენობა. პროპორციულად დაეცემა ამ პროდუქტებზე ფასი, რაც სოფლად დასაქმებული პირებისათვის სულერთი არ არის.

დღეს ერთ ლიტრ რძეს და 250 გრამ ფანტას ერთი და იგივე ფასი აქვს ბაზარზე. ასეთ პირობებში რძის კიდევ უფრო მეტად გაიაფება შემდეგში რძის წარმოების შემცირებას გამოიწვევს (ჩვენმა პოლიტიკოსებმა ყველაფერი გააკეთეს, რომ ქვეყანა განვითარების 1918-1920 წლების დონეზე ჩამოეგდოთ. მაშინაც მნიშვნელოვნად იყო დარღვეული თანაფარდობა სასოფლო პროდუქტებსა და სამრეწველო პროდუქციას შორის, ისე როგორც მაშინ, დღესაც ქვეყანა გადააქციეს ხაზგასმულად აგრარულ ქვეყნად). ასეთ პირობებში სოფლად დასაქმებულებს აუცილებლად გაახსენდებათ ბატონ ბიძინა ივანიშვილის დაპირება — ყოველ სოფელში თუნდაც ერთი საწარმოს აშენების თაობაზე. ყოველ სოფელში ერთი საწარმო თუ დიდი ფუფუნებაა, რაიონში 2-2 საწარმოს აშენება სასურველ შედეგს მოიტანს.

კონკრეტულ რაიონში ადგილობრივი ნედლეულის გამოყენებით, კონკრეტული სახისა და წარმადობის საწარმოს აშენებაზე, უხუცესთა მხრიდან გაცემული დასკვნა-რეკომენდაცია იქნება ყველაზე უფრო მეტად ობიექტური, კომპეტენტური და უმრავლესობისათვის მისაღები.

უხუცესთა საბჭო, რომელიც იქნება ზედაპირული ორგანო, ყველა განსახილველ საკითხს მიუდგება მხოლოდ სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვით, საბჭო პერსპექტივაში შესძლებს აფხაზებისა და ოსეთის უხუცესების მოწვევას, რაც მეტად მნიშვნელოვან ნაბიჯად გვესახება.

კიდევ ერთ საკითხზე გავამახვილებთ მკითხველის ყურადღებას.

დღეს საინფორმაციო საშუალებებში ისმის შეკითხვა: როგორი უნდა იყოს საზოგადოებრივი მაუწყებელი? ამ საკითხს იხილავს პარლამენტიც.

როგორც ევროპამ განგვიმარტა, ჩვენი საზოგადოებრივი მაუწყებელი არის დაბალანსებული, მიუკერძოებელი და ობიექტური.

„რადგან ევროპას ასე მიაჩნია, ჩვენს საზოგადოებაში სხვა აზრი არ უნდა არსებობდეს“. მაგრამ ქვეყნიდან გარბიან მაღალი ინტელექტისა და უნარ-ჩვევების მქონე მოქალაქეები. ისინი სხვაგან იხარჯებიან, სხვაგან ღვრიან ოფლს და მათ მდგომარეობაზე რომ მოახსენებენ უწმინდესსა და უნეტარესს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, პატრიარქი ცრემლებს ღვრის (არც საზოგადოების წევრები არიან კარგ დღეში), „მიუკერძოებელი“ საზოგადოებრივი მაუწყებელი კი ამ ფაქტზე დუმს.

აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები უცხოეთში დაფუძნებული ფირმებით უცხოელებთან ერთად ქვეყანას ძარცვავენ და საზოგადოებრივი მაუწყებელი ამ ფაქტზეც დუმს. ქვეყანა იღებს მილიარდობით ვალს და შენდება არა ის, რაც ქვეყანას სჭირდება, არამედ ის, რასაც „ატკატები“ მოაქვს და საზოგადოებრივი მაუწყებელი აქაც დუმს.

უხუცესთა საბჭოს რეკომენდაციები საზოგადოებრივი მაუწყებლისათვის ძირითადი თუ არა, ერთ-ერთი თემა მაინც თუ გახდება, მისი და საერთოდ ქვეყნის საინფორმაციო საშუალებების რეიტინგი მნიშვნელოვნად მოიმატებს.

ბოლნისელ მევენახეთა და მიწით მოსარგებლეთა ერთი ჯგუფი ითხოვს უხუცესთა საბჭოს შექმნაზე თავიანთი აზრი გამოთქვან საზოგადოების წევრებმა, უპირველესად საზოგადოების იმ ნაწილმა, რომელსაც დღეს ელიტურს, სამოქალაქო საზოგადოებას უწოდებენ.

უხუცესთა საბჭო ქვეყანას ჰაერივით სჭირდება.

ბოლნისის მევენეხეთა და მიწით მოსარგებლეთა ჯგუფის სახელით

ნუგზარ კობახიძე,

ქ. ბოლნისი

30.03.2013.

◎ ინფორმაცია

დევნილთა კომუნალურ დავალიანებებს მთავრობა დაფარავს

როგორც „ინტერპრესნიუსი“ იუწყება, თბილისში კომპაქტურად ჩასახლების რამდენიმე ობიექტზე დევნილთა მიერ დაგროვილ ელექტროენერგიისა და ბუნებრივი აირის გადასახადს მთავრობა დაფარავს. როგორც მთავრობის გუშინდელი სხდომის დაწყების წინ ჟურნალისტებს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, ლტოლვილთა და განსახლების მინისტრმა, დავით დარახველიძემ განუცხადა, შესაბამისი საკითხი განსახილველად მთავრობის დღევანდელ სხდომაზე გავა. მისივე განმარტებით, განიხილება რომ დევნილთა მიერ ელექტროენერგიასა და ბუნებრივ აირზე საერთო ჯამში დარიცხულ ნახევარ მილიონ ლარამდე დავალიანება მთავრობის სარეზერვო ფონდიდან დაიფარება.

მისივე განმარტებით საუბარია, მხოლოდ ამ ეტაპზე ბაქოს ქუჩაზე და ზღვის დასახლებაში მცხოვრებ კომპაქტურად ჩასახლებულ დევნილებზე, სამომავლოდ კი სამინისტრო კიდევ 12 ობიექტში ჩასახლებულ იძულებით გადაადგილებულ პირებისთვის დავალიანების დაფარვის საკითხს განიხილავს. „მათ შემთხვევაში დავალიანების ზუსტი ოდენობა დაზუსტებული ჯერჯერობით არ არის, ეს პროცესი ახლა მიმდინარეობს და სხვა 12 ობიექტში ჩასახლებული დევნილებისთვის დავალიანების დაფარვაზე მთავრობა მომავალ სხდომებზე იმსჯელებს, — აღნიშნა მინისტრმა.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ აკადემია ხვალ

აკადემიკოსობის კანდიდატი
გურამ ქაშაკაშვილი

რა კაცი გვყოლია, „რა მხნე, რა მდიდარი“... მხნე ახლანდელი იერსახითა თუ შინაგანი გუნება-განწყობითაც; მდიდარი მთელი თავისი პრაქტიკული თუ თეორიული მოღვაწეობით, — მსხვილი სამრეწველო ობიექტების წინამძღოლობა, თანამშრომლებზე, საერთოდ, ადამიანებზე ზრუნვა, ნაშრომები, გამოგონებები, აღმოჩენები, ჯილდოები... ამგვარი სიმდიდრე ხომ სჯობს „ყოველსა მოსახვეჭელსა“...

ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრი (დამფუძნებლის სტატუსით); უკრაინის მეცნიერებათა აკადემიისა და რუსეთის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი; საქართველოს სახელმწიფო პრემიის სამგზის (1988, 1994, 2012 წ.წ.), ახლახან ნახსენები რუსეთის სმაისა (2002 წ.) და უმა-ის (2009 წ.) პრემიების ლაურეატი; 240-ზე მეტი მეცნიერული ნაშრომის (მათ რიცხვში 12 მონოგრაფიის), 100-ზე მეტი გამოგონებისა და 2 აღმოჩენის (2010 და 2011 წლებში რეგისტრირებულების) ავტორი; საქართველოს დამსახურებული ინჟინერი და გამომგონებელი; საბჭოური ხანის ლენინისა და შრომის წითელი დროშის ორდენების, საქართველოს ღირსების ორდენის კავალერი.

გურამ ქაშაკაშვილის ბიოგრაფია და მეცნიერული საქმიანობის აღწერა შესულია საქართველოს, უკრაინის, რუსეთის, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთისა და სხვა ქვეყნების ენციკლოპედიურ გამოცემებში. რამდენიმე შტრიხი ამ ბიოგრაფიიდან.

შთამბეჭდავი შრომითი გზა განვლო რიგითი მუშიდან ფოლადსადნობი საამქროს უფროსამდე, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნისა და რუსთავის მეტალურგიული კომბინატის დირექტორობამდე.

ერთობ ნაყოფიერი, ენერგიული მუშაობით გურამ ქაშაკაშვილმა შეძლო ტექნოლოგიურად ჩამორჩენილი, გარემოს დამაბინძურებელი, გაჩერების ზღვრამდე მისული ჯერ ზესტაფონის ქარხნის, მერე რუსთავის კომბინატის გადაქცევა ტექნიკურ-ეკონომიკური, ეკოლოგიური, სოციალური მაჩვენებლებით დარგის მოწინავე საწარმოებად, რომლებიც უნარჩენო პროდუქციას იძლეოდნენ.

რუსთავის კომბინატში მეცნიერულ-ტექნოლოგიურად რთული საკითხების გადასაჭრელად საჭირო შეიქნა სრულიად ახალი ელექტროფოლადსადნობი საამქროს მშენებლობა, ხოლო მარტენის საამქროში — საჩამოსხმო ციცხვის ხვრელიდან ფოლადის ინერტული აირებითა და წიდაწარმომქმნელი რეაგენტებით ღუმელგარეშე გაქრევა-რაფინირების ტექნოლოგიის დანერგვა, მსოფლიოში პირველად!

გურამ ქაშაკაშვილის ტექნიკურ-ტექნოლოგიური გათვლები, მეცნიერული კვლევები დაედო საფუძვლად მის სადოქტორო დისერტაციას, სასახელოდ



დაცულს მოსკოვის შავი მეტალურგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში.

ის აქტიური მონაწილეა მეტალურგიის დარგში ძირითადი პრობლემების გარშემო მსოფლიოს მრავალ ქალაქში გამართული კონფერენციებისა, სიმპოზიუმებისა, სამიტებისა.

მისმა დაარსებულმა ენობრივმა საინფორმაციო ფონდმა საქართველოში პირველად შექმნა 100 ათასი მეტალურგიული ტერმინის ექვსენოვანი (ქართულ-უკრაინულ-რუსულ-ინგლისურ-გერმანულ-ფრანგული) ლექსიკონის 2 000-გვერდიანი ორტომეულის ელექტრონული ვერსია.

მშობლიურ ბაღდათში გურამ ქაშაკაშვილის ინიციატივით ორგანიზებულია რაიონის ცნობილი პედაგოგების პელაგია ქაშაკაშვილისა და ივანე თავხელიძის სახელობის ფონდები. ათ წელზე მეტია, რაც ის, როგორც ფონდის თავმჯდომარე, სახელობითი ვერცხლისა და ოქროს მედლებით, საპატიო დიპლომებით ყოველწლიურად ავჯილდოებს წარჩინებულ მოსწავლეებსა და მათ პედაგოგებს.

ქართული კულტურის, ხელოვნების, მეცნიერების გულისხმიერმა ქომაგმა გურამ ქაშაკაშვილმა თვალსაჩინო მორალური თუ ფინანსური მხარდაჭერა აღმოუჩინა ანსამბლ „რუსთავს“, ქ. რუსთავის თეატრს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, ოპერის და ბალეტის თეატრის მომღერლებს, ქართველ მეცნიერებს, მწერლებს...

დიალოგი

— ბატონო გურამ, რა აზრის ბრძანდებით თქვენთვის ესოდენ მახლობელ სფეროებში, მეცნიერებასა და განათლებაში არსებულ მდგომარეობაზე?

— მგონი, ღმერთმა გამოგვიგზავნა მეთაური, რომელიც მეცნიერებს მაშინ არ აკლებდა ყურადღებას, როცა ძველი ხელისუფალნი ჩარეცხილებად მოიხსენიებდნენ... ბიძინა ივანიშვილს კარგად ესმის, მეცნიერული ცოდნა რომ ყველაზე დიდი სიმდიდრეა ერისთვის. მჯერა, რომ არც მზრუნველობას დაიშურებს, არც სახსრებს, განათლებასაც ჯეროვან ყურადღებას მიაქცევს... ტექნიკური პროფილის 15 ფაკულტეტი უკვე უფასო სწავლებაზეა გადაყვანილი.

— რა გიზიდავთ თქვენი პროფესიული საქმიანობის ფარგლებს გარეთ?

— მუსიკა, განსაკუთრებით საოპერო. საყვარელი ოპერებია „აბესალომ და ეთერი“, „კარმენი“ (აქვე სათქმელად: ჩვენს ვოკალურ ვარსკვლავებს მედეა ამირანაშვილს, ლამარა ჭყონიას, ნოდარ ანდღულაძეს, თენგიზ მუშკუდიანს ბატონმა გურამმა სიცოცხლეშივე დაუდგა შემოქმედებითი ძეგლი საიუბილეო კრებულებისა თუ საუკეთესო სარეპერტუარო კომპაქტ-დისკების გამოცემით — **ლ. გ.**).

სპორტის სახეობებიდან ცურვა მიტაცებს, ახლაც ვვარჯიშობ... სხვათა შორის, საერთაშორისო კონფერენციებზე მონაწილეთათვის, მოხსენებების შემდეგ ზოგჯერ შეჯიბრებები ეწყობა ცურვასა და კედელზე ცოცვაში. ყოველთვის ვიმარჯვებ, ცურვაში უკან მომიტოვებია ოკეანისპირა ბრაზილიელებიც კი...

...მქონდა შესაძლებლობა უკრაინის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტის ბორის პატონის, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის იური ოსიპოვის, სხვა გამოჩენილი აკადემიკოსების, მსოფლიოში აღიარებული ქართველი ფიზიკოსის, პროფესორ გია დვალის მონაწერთა ნახვისა. ისინი უმაღლეს შეფასებას აძლევენ გურამ ქაშაკაშვილს, როგორც შესანიშნავ სპეციალისტს, მკვლევარს, საზოგადო მოღვაწეს, პიროვნებას...

ლუკა გორგაძე

◎ არ გათეთრდების ყორანი...

უტიფარი ნაციონალები კვლავ ზეწოლით ცდილობენ მხარდაჭერის მოპოვებას!

(მესამე გვერდიდან)

თუმცა ბოლოს უკვე ეს მეთოდიც აღარ ჭრიდა და ისიც კარგად გვახსოვს, გასული წლის 28 სექტემბერს თბილისის ეროვნულ სტადიონზე დაგეგმილ „ნაციონალური მოძრაობის“ წინასაარჩევნო შეკრებაზე, ჯერ კიდევ ხელისუფლებაში მყოფმა ძალამ სტადიონის გავსებაც კი ვერ შეძლო, მიუხედავად იმისა, რომ ამ დღისთვის ადამიანები მთელი საქართველოდან ფაქტობრივად ძალით ჩამოიყვანეს.

ახლა სახელმწიფო უწყებების დიდი ნაწილი ნაციონალების კონტროლის ქვეშ აღარ არის და შესაბამისად, იქ მომუშავე ადამიანებზეც ხელი აღარ მიუწვდებათ, თუმცა არის გარკვეული უწყებები, რომლებიც მერიის დაქვემდებარებაშია და შესაბამისად, იქ მომუშავე ადამიანებიც კვლავ „ნაციონალური მოძრაობის“ ზეგავლენის ქვეშ იმყოფებიან. ასეთია მაგალითად, ბაგა-ბაღები, რომელთა გამგეები თავის დროზე თანამდებობაზე „ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ ლოიალური განწყობის ნიშნით ინიშნებოდნენ და ყოველთვის მათ ინტერესებს ატარებდნენ. ეს ადამიანები ხელისუფლების შეცვლის შემდეგ არავის გაუშვია სამსახურებიდან და ცხადია, ისინი ახლაც აქტიურად არიან ჩართულები ნაციონალების პარტიულ ღონისძიებებში.

როგორც for.ge-სთვის გახდა ცნობილი, ბაგა-ბაღების გამგეებს დავალებული აქვთ, რომ მათმა თანამშრომლებმა 19 აპრილის აქციაში უკლებლივ მიიღონ მონაწილეობა. for.ge რამდენიმე საბავშვო ბაღის აღმზრდელს ესაუბრა, რომლებიც ვინაობის გამხელისგან თავს იკავებენ, თუმცა ყველაზე ადამიანურ, რომ გამგე მათ თათბირს უტარებს და ეუბნება, რომ „ნაციონალურ მოძრაობას“ გვერდით უნდა დაუდგნენ, რადგან ახალი ხელისუფლება ქვეყანას უფსკრულისკენ მიაქანებს, რაც მის პრორუსულობაში გამოიხატება. ბაგა-ბაღების გამგეები ცდილობენ, საკუთარი თანამშრომლები დაარწმუნონ, რომ ბიძინა ივანიშვილი „რუსეთის კაცია“ და ამიტომ აუცილებელია, რომ ქვეყნის სათავეში კვლავ „ნაციონალური მოძრაობა“ დაბრუნდეს. როგორც For.ge-სთან ბაგა-ბაღების თანამშრომლები განმარტავენ, სწორედ ასეთი მოწოდებებით აიძულებენ მათ აქციაში მონაწილეობის მიღებას.

აღსანიშნავია, რომ გუშინ ამ თემასთან დაკავშირებით განცხადება გააკეთა თბილისის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება — თბილისელების“ თავმჯდომარემ, გულიკო ზუმბაძემ. ფრაქციის გაფართოებული სხდომის დაწყებამდე ზუმბაძემ განაცხადა, რომ პირველი სექტემბრიდან საბავშვო ბაღებში გადასახადის გაუქმებასთან დაკავშირებულ საკითხებზე სასაუბროდ მათ ბაღების სააგენტოს ხელმძღვანელი რამაზ სულამანიძე მოიწვიეს, თუმცა ის სხდომაზე არ გამოცხადდა და მისი არგამოცხადების მიზეზად სწორედ ეს ინფორმაცია დაასახელა.

For.ge-სთან საუბარში გულიკო ზუმბაძე განმარტავს, რომ რამაზ სულამანიძეს გუშინდელი შეხვედრის შესახებ წინასწარ ეცნობა და ვინაიდან ის ანგარიშვალდებულია მერიის წინაშე, იგი ფრაქციის სხდომაზე უნდა გამოცხადებულიყო და საკრებულოს წევრების კითხვებზე პასუხები გაეცა. გულიკო ზუმბაძის თქმით, თბილისში სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში გადასახადის გაუქმებასთან დაკავშირებით უნდა ემსჯელათ. კერძოდ, საუბარია იმაზე, რომ ვინაიდან საბავშვო ბაღებში სექტემბრიდან გადასახადი უქმდება, ამასთან დაკავშირებით მერია ვალდებულია, რომ გარკვეული ღონისძიებები განახორციელოს, რათა თბილისის ბიუჯეტში ეს ხარჯები გათვალისწინებული იყოს. ამასთანავე, გულიკო ზუმბაძე აცხადებს, რომ საბავშვო ბაღები ძალიან გადატვირთულია და როდესაც გადასახადი გაუქმდება, ბაგა-ბაღებზე მოთხოვნა გაიზრდება, ისინი კი ამისთვის მზად არ არიან. საკრებულოს წევრი ამბობს, რომ ფრაქციის სხდომაზე სწორედ ამ თემებზე სამსჯელოდ მოიწვიეს ბაღების სააგენტოს ხელმძღვანელი.

„ჩვენ გვაქვს ინფორმაცია, რომ საბავშვო ბაღებში 19 აპრილის აქციისთვის აქტიური მზადება მიმდინარეობს. კერძოდ, კონკრეტულ ბაღებში იკრიბებიან გამგეები და მიდის მზადება და მსჯელობა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა მოახდინონ აქციისთვის ადამიანების მობილიზება. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ბაგა-ბაღები არ არის „ნაციონალური მოძრაობის“ პარტიული სტრუქტურა და ამიტომ ამ ინფორმაციის გადამოწმება პირველ პირთან, ბაღების განვითარების სააგენტოს ხელმძღვანელთან გვინდოდა, თუმცა იგი დღევანდელ შეხვედრაზე არ გამოცხადდა“, — ამბობს საკრებულოს წევრი.

„მე ვფიქრობ, რომ უნდა ჩატარდეს ეს აქცია, არანაირი დაპირისპირება ამას არ სჭირდება. გამოხატონ ამ ადამიანებმა თავიანთი პროდასავლურობა და თუნდაც ხელისუფლების საწინააღმდეგო ლოზუნგები წამოაყენონ. ეს ჩვეულებრივი მოვლენაა, მაგრამ მათ მიერ დასაქმებულ ხალხზე ზემოქმედება, პირველი პირების გავლენით აქციაზე ძალით მიყვანა, არ არის სწორი და თუ ასეთი ფაქტები გვექნება, ჩვენ მათ ამაში ვამხელთ“, — აღნიშნავს გულიკო ზუმბაძე.

ნინო ულენტი

◎ უმცირესობა თავისას არ იშლის

ჩიორა ლაშა ტუღუშს აუჭიკჭიკდა

„მაუწყებლის კანონის შესახებ“ კანონპროექტის ერთ-ერთი ავტორი ლაშა ტუღუში საპარლამენტო უმცირესობის წევრს ჩიორა თაქთაქიშვილს მის მიმართ შეურაცხმყოფელი განცხადებების გაკეთებაში ადანაშაულებს. როგორც ლაშა ტუღუშმა პარლამენტში რამდენიმე კომიტეტის გაერთიანებულ სხდომაზე განაცხადა, ის და კანონპროექტის სხვა ავტორები არ აპირებენ საზოგადოებრივი მაუწყებლობის სამეურვეო საბჭოს წევრობისთვის კენჭი იყარონ. კომიტეტები მაუწყებლობის შესახებ კანონში შესატან ცვლილებებს განიხილავდნენ.

— ჩვენი მიზანია რეალურად საზოგადოებრივ მაუწყებელში შექმნილი ვითარების გამოსწორება და არა სამეურვეო საბჭოს წევრობა. შესაბამისად, შეურაცხმყოფელია ისეთი განცხადებების გაკეთება, რომ ჩვენ სამეურვეო საბჭოს წევრობისთვის ვაკეთებთ ამ ყველაფერს, — განაცხადა ტუღუშმა.

გარდა ამისა, განხილვაზე მწვავე კრიტიკა იყო უმცირესობის მხრიდან აღნიშნული კანონპროექტისადმი. როგორც უმცირესობის წევრები აცხადებენ, ცვლილებების ამ სახით მიღება ევროსაბჭოს რეკომენდაციებს არღვევს. როგორც ჩიორა თაქთაქიშვილმა განაცხადა, ამ ცვლილებების მიღების მიზანი ამჟამად არსებული ბორდის დაშლაა, იუწყება ინტერპრესი.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ სოფელი

გაზაფხულზე მომენატრები...



გაზაფხული ძალაში შევიდა.

შიდა ქართლში, მდინარე ფრონეს ხეობაში, მრავალი უძველესი ქართული სოფელია შეფენილი.

გადმოცემით, აქ ადრე უსიერი ტყე ყოფილა. მეფე თამარს, თავის ამალასთან ერთად ყორნისისკენ მიმავალს, გზად წერონი წამოფრენიან. – წერონისი ყოფილაო – უთქვამს თამარს და... იმ დღიდან დაერქვა, თურმე, ამ სოფელს ცერონისი.

ახლა აქაც ყველაფერი ძველებურად ყვავის. ქუჩქუჩად მოსდებიან ლურჯთვალა იები კორდებს და მინდვრებს. მახსენდება ჩემი ბავშვობა. თითოეულ ოჯახში 3-4 ბავშვი მაინც ვიზრდებოდით. მაშინ თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ მეზობლები, რომ ოთხი შვილი მაინც აუცილებლად უნდა ჰყოლოდათ. ჩვენ ორი პარალელური კლასი ვიყავით – 60-ზე მეტმა დავამთავრეთ საშუალო. ახლა სკოლაში თითზე ჩამოსათვლელი ბავშვებიღა დადიან...

ისევ მივუყვები ბავშვობის ბილიკებს.

შამბნარს დაუფარავს რუსპირები. ფრონემდე ვეღარც ჩავედი – დაჭაობებულა ჩემი მწვანე მოლი. მდინარესაც მოურღვევ-ჩამოუშლია ნაპირები და თან წაუღია ჩემი ველი და ჭალა, მათთან ერთად კი, ჩვენი თაობის ნაფეხურებიც...

ადრე სოფელს დიდი ბიბლიოთეკა ჰქონდა. რა დამავიწყებს უძვირფასეს ვერა ჟღენტს – განათლებულ და კულტურულ ადამიანს, ან ქალბატონ მერის, კულტურის სახლის მაშინდელ გამგეს.

აღარც კულტურის სახლია, აღარც ბიბლიოთეკა და სამედიცინო ამბულატორიაა სოფელში. უგზოობამ ხომ დაღალა და გააწამა ცერონისის, ავლევის და კნოლევის მოსახლეობა. მათ დღეშია ბრეძის საკრებულოში შემავალი სოფლებიც.

ჩემს ბავშვობაში მოდაში იყო ინდური ფილმები... მახსენდება ძია ვასია, კინომექანიკოსი, რომელიც ერთგულად ემსახურებოდა სოფელს.

„მაღლა – მზეა, დაბლა – დარია,
გაზაფხულის საწინდარია.

* * *

გაზაფხულზე მომენატრები,
როცა წითლად ყვავის ატმები...“

– ეს სიმღერაც ხშირად ისმოდა კლუბის დინამიკებიდან და ეს სტრიქონები მახსენდება ახლაც, როცა გაზაფხული დანავარდობს ფრონის ხეობაში და საპატარძლო გვირგვინს უწნავს ქართლის სანახებს.

...საღამოობით, შრომით დაღლილი მთელი სოფელი გარეთ გამოდიოდა და... მოხუცები ერთად ისხდნენ და დარბაისლურად მუსაიფობდნენ. ერთმანეთს ჭირ-ვარამს უზიარებდნენ. ახალგაზრდები – სეირნობდნენ. კომპიუტერი მაშინ სად იყო და არც ტელევიზორს იყო ხალხი მიჯაჭვული... ადამიანური ურთიერთობები ძალიან ფასობდა, კაცი კაცით იყო ძლიერი...

ახლა თითქმის მოხუცების ამარაღაა დარჩენილი აქაურობა. ჯერ იყო და, ისტორიის ბოლო ათწლეულებმა ლუკმაპურის საშოვნელად ქალაქებისაკენ გზას გაუყენა ოჯახები. მერე კი, აგვისტოს ომმა სულაც სისხლიან ჩექმაზე აიკრა ჩემი პატარა სოფელი – მტერმა დაუნდობლად გადაწვა და მოაოხრა, ბუფერულ ზონად აქცია მთელი ხეობა...

წლობით ნაშენ-ნალოლიავების, ნაამაგარის ერთ დღეში გაჩანაგებამ გული გაუტეხა ცერონისელებს – ბევრმა მიატოვა მშობლიური კერა და საცხოვრებლად სხვა სოფელ-ქალაქებში გადასახლდა. ვინც დარჩა, ლამის ისინიც აქედან ასაბარგებლად გზას გაჰყურებენ, რადგან სამეზობლოში ფუძე – ნაფუძრად, სახლი – ნასახლარად არის ქცეული... სტუმრის მისვლა და უბნის ახმაურება უხარიათ აქ დარჩენილებს, ღამით შუქის გამოსვლა და კერის ანთება უხარიათ გადამწვარი ნასახლარიდან...

...ისევ აქ ვდგავარ, ფრონის ნაპირთან. ფუტკრები ზუზუნებენ ყვავილებზე. მზეც კარგა მაღლა ამოწვერილა. ცხელა და გაზაფხულის ქარს ჩემამდე მოაქვს ატმის და ნუშის ყვავილთა სურნელება. მიწასაც სიცოცხლის სურნელი ასდის, ფუშფუშებს ქვეყნის მარჩენალი თესლის ჩასაგდებად. ბევრი მამული, ვაი, რომ უპატრონობით პირქვე აგდია, ბევრსაც – მადლობა ღმერთს, შავ ხნულად ატყვია მზრუნველი ხელი. ვიღაცას ვენახში ახალი ნამყენებიც დაურგავს, რომელთაც, ეს-ესაა, დაუსკდებათ კვირტები...

სოფელი პატრონს ელოდება – ომებიდან, გაჭირვებიდან, უღმერთობიდან გადარჩენილი ეს თაობა, ვინც აქ არის და კერას არ აცივებს...

...ძველ სასაფლაოზე, ღვთისმშობლის სახელობის ბაზილიკა, წლებია, უპატრონობით არის ჩამოქცეული. ახლა სოფელმა დაიწყო მისი აღდგენა-გამაგრება, რადგან იციან, რომ თუკი არ მიხედავენ, უპატრონო ეკლესიასაც კი, არამცთუ სოფელს და ქვეყანას, ეშმაკები ეპატრონებიან...

ანგია წინასწარმეტყველი ამბობდა: **„ადით მთაზე, აიტანეთ ხე-ტყე და ტაძარი ააშენეთ. მოვიწონებ ამას და დიდებით გამოვჩნდები. ბევრის მოლოდინი გაქვთ, მაგრამ მცირედი გისრულდებათ: რაც სახლში მიგაქვთ, იმასაც ვანიავებ. რატომ? – იმიტომ, რომ მიგდეუბულია ჩემი სახლი, თქვენ კი ყველანი თქვენს სახლებზე ზრუნავთ. ჯერ ჩემი სახლი ააშენეთ, შემდეგ – თქვენზე იზრუნეთ“.**

რადგან ეკლესიის აღდგენა დაიწყო, ხალხი სოფელსაც მიხედავს. იმედის ნაპერწკალიც გაღვივდება და... გამრავლდება მოსახლეობა, ისევ აღსდგება ნასახლარები, აჟრიამულდებიან ბავშვები, სკოლა გაივსება მოსწავლეებით, აღდგომისწინა კვირაში ყოველ უბანში დაინთება წარმართული ჭიაკოკონაც...

მანამდე კი...

ვინ იცის, ჩემო სოფელო, აპრილში ნუშის და ატმის ყვავილებად გაფეთქილო, როგორ გენატრება შორს წასული შენი შვილები და მათი ძველი, მაგრამ ლამაზი სიმღერა:

„გაზაფხულზე მომენატრები,
როცა წითლად ყვავის ატმები“...

ლია ჭიღლაძე

◎ ინფორმაცია

„ქედუხრელნი“ აფხაზეთის ომში დაღუპულთა ხსოვნას მიეძღვნა

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ორგანიზებით, „თბილისი არტ-ჰოლში“ აფხაზეთისთვის თავდადებულ მამულიშვილთა ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო „ქედუხრელნი“ გაიმართა. საღამო საქართველოს სახელოვანი წინაპრების, ღირსეული მამულიშვილების ხსოვნას მიეძღვნა, რომლებმაც თავიანთი ცხოვრებით, მოღვაწეობითა და გმირული თავგანწირვით დიდი წვლილი შეიტანეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში.

ღონისძიებას აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე გიორგი ბარამია, მთავრობის წევრები და დევნილი საზოგადოების წარმომადგენლები დაესწრნენ. მათ კიდევ ერთხელ გაიხსენეს 20 წლის წინათ აფხაზეთში განვითარებული მოვლენები.

საღამოზე ნაჩვენები იქნა ვიდეოკლიპი, რომელიც აფხაზეთისთვის თავდადებული გმირების ცხოვრებასა და მოღვაწეობას ასახავდა. პარალელურად მოეწყო ფოტოგამოფენა.

ინტერპრესი

◎ სინათლე ჩვენს ფანჯრებში

ტელეკომპანია „იბერიის“ აღდგენას ითხოვენ

„ომეგა ჯგუფის“ და ტელეკომპანია „იბერიას“ ადვოკატმა დავით ასათიანმა საქართველოს მთავარ პროკურატურაში ტელეკომპანიისთვის ლიცენზიის დაბრუნებასთან დაკავშირებით საჩივარი შეიტანა.

პრესკონფერენციაზე ადვოკატმა განაცხადა, რომ „ომეგა ჯგუფის“ ხელმძღვანელობა სამართლიანობისთვის ბრძოლას იწყებს. ტელეკომპანია 2004 წლის 19 თებერვლის შემდეგ მაუწყებლობას ვეღარ ახორციელებს, რადგან ლიცენზია, რომელიც ძველმა ხელისუფლებამ უკანონოდ ჩამოართვა, ამჟამად ტელეკომპანია „აისის“ და „ჯორჯიან მედიან პროდაქშენს“ ეკუთვნის.

„2004 წლის ბოლოს „ოჯთ“-ს, „ომეგა მოტორს“ და ტელეკომპანია „იბერიას“ 23 მილიონამდე ლარის გადახდა დაეკისრათ. „ომეგა ჯგუფი“ დაუყონებლივ მოითხოვს, აღდგეს სამართლიანობა, მოხდეს ზარალის ანაზღაურება და დაისაჯონ ის დამნაშავეები, ვინც აღნიშნულ კომპანიას ზიანი მიაყენა“, – აღნიშნა ასათიანმა.

მისივე თქმით, იმ შემთხვევაში, თუ ტელეკომპანია „იბერია“ კუთვნილ ლიცენზიას დაიბრუნებს, გამორიცხული არაა, მაუწყებლობა აღადგინოს და დამოუკიდებელ ტელეკომპანიად ჩამოყალიბდეს.

„მედიანიუსის“ მიერ გავრცელებული ინფორმაციით, „ომეგა ჯგუფი“ დაარსდა 1991 წელს. კომპანიის ბიზნესსაქმიანობა მრავალფუნქციურია. 2004 წლის მდგომარეობით იგი აერთიანებდა შემდეგ კომპანიებს:

ა) სიგარეტის მწარმოებელი კომპანია „ოჯთ“, რომელიც აწარმოებს საკუთარ თამბაქოს ბრენდებსა და მულტინაციონალური კომპანიის ბრენდებს; ბ) „ომეგა მოტორსი“, რომელიც წარმოადგენს საავტომობილო კონცერნ „BMW MINI“-ს ოფიციალურ იმპორტიორს საქართველოში; გ) სტამბა „ომეგა თეგი“; დ) საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი „ახალი ეპოქა“, ლიტერატურული გაზეთი „ჩვენი მწერლობა“, ჟურნალი „ომეგა“; ე) ტელეკომპანია „იბერია“.

„ომეგა ჯგუფის“ კომპანიებში დასაქმებული იყო დაახლოებით 1500 ადამიანი. მათ შორის, როგორც საქართველოს, ისე ინგლისის, ბულგარეთის, ფინეთის, შვეიცარიისა და ჩეხეთის მოქალაქეები.

2004 წლის 19 თებერვალს, დაახლოებით დილის 9:00 სთ-ზე, საქართველოს გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილმა და საქართველოს შსს სპეცდანიშნულების რაზმმა დაიკავა თბილისში – თამბაქოს ფაბრიკა, საწყობები და ოფისები, სტამბა „ომეგა თეგი“, „ომეგა მოტორსი“, საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი „ახალი ეპოქა“, ტელეკომპანია „იბერია“. ასევე, „ომეგა ჯგუფის“ ოფისები ბათუმში, ქუთაისში, გორში, ბორჯომში, რუსთავში, თელავში და სხვა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეცდანიშნულების რაზმის ნიღბიანმა წევრებმა ოფისებში შესვლისთანავე, სრულიად უმიზეზოდ სასტიკად სცემეს თამბაქოს ფაბრიკისა და სტამბის მუშებს. ნიღბიანებმა მუშები გამოიყვანეს ვაშლიჯვრის ტერიტორიაზე მდებარე თამბაქოს ფაბრიკისა და სტამბის ეზოში და იძულებით, ავტომატების მუქარით დააწვინეს მიწაზე. 2004 წლის 19 თებერვალს პროკურატურის თანამშრომლებმა და სპეცდანიშნულების რაზმებმა ტელეკომპანია „იბერიას“ ტერიტორია დაიკავეს უკანონოდ და გამოიწვიეს ტელევიზიის საქმიანობის შეწყვეტა.

2004 წლის 19 თებერვალსვე პროკურატურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა დალუქეს „ომეგა ჯგუფის“ თამბაქოს ფაბრიკა და ყველა საწარმოს მუშაობა შეწყვიტეს.

2004 წლის 21 თებერვალს, ვაშლიჯვარში „ომეგა ჯგუფის“ ოფისთან თანამშრომელთა შეკრებისას შსს-ს სპეცრაზმმა ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით ატეხა უმისამართო სროლა ხალხის მიმართულებით, რასაც მხოლოდ ბედნიერი შემთხვევის წყალობით არ მოჰყოლია მსხვერპლი. ტყვიებმა გახვრიტეს ოფისის წინ მდებარე ავტოსადგომის კედლები 1,5 მეტრის სიმაღლეზე და იქვე გამავალი გაზის მილი, საიდანაც დიდი წნევით გამოსულმა გაზმა შექმნა აფეთქების საშიშროება.

„ომეგა ჯგუფის“ თანამშრომლების, საზოგადოების წარმომადგენლების, პოლიტიკოსებისა და ჟურნალისტების მოთხოვნებს, აღკვეთილიყო ძალადობა მედიისა და ბიზნესის მიმართ, კონკრეტული შედეგი არ მოჰყოლია.

თამბაქოს ფაბრიკაში, სტამბასა და „ომეგა მოტორსში“, სადაც განთავსებულია „BMW“-ს მარკის ავტომობილები, ჩააყენეს შსს-ს სპეცდანიშნულების ასეული, რომლებსაც 10 თვის განმავლობაში ოკუპირებული ჰქონდათ საწარმოთა ტერიტორია.

2004 წლის 5 ივლისს მთაწმინდა-კრწანისის სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ სპეცდანიშნულების რაზმებს დაეტოვებინათ „ომეგა ჯგუფის“ საწარმოები. მიუხედავად ამისა, შსს-ს სპეცდანიშნულების ასეული კიდევ 4 თვე უკანონოდ იმყოფებოდა „ომეგა ჯგუფის“ საწარმოთა ტერიტორიაზე და არ აძლევდა მას მუშაობის საშუალებას.

2004 წლის 7 დეკემბერს გენერალური პროკურატურის პირდაპირი მოთხოვნით, კომუნიკაციების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მეშვეობით „იბერია ტვ“-ს მაუწყებლობის ლიცენზია უკანონოდ გადაეცა კერძო პირს. ლიცენზიის მფლობელი გახდა მოქალაქე დავით კაკაურიძე. აქტი ნოტარიულად დაამოწმა ნინო გინტურმა. 2004 წლის 18 დეკემბერს გენერალურმა პროკურატურამ „ომეგა ჯგუფის“ ფაბრიკასა და სტამბას ამუშავების ნება დართო.

10-თვიანი სადამსჯელო ღონისძიების შედეგად, „ომეგა ჯგუფმა“ საქმიანი რეპუტაციის შელახვის გარდა, მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალი განიცადა. „ომეგა ჯგუფში“ გაერთიანებულმა კომპანიებმა გადაწყვიტეს საჩივრით მიმართონ საქართველოს მთავარ პროკურატურას, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 150-ე, 187-ე, 332-ე და 333-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა ჩადენის ფაქტებზე გამოძიების დაწყების შესახებ. საჩივარში, ასევე დაკონკრეტდება კომპანიებისათვის მიყენებული მატერიალური ზარალის ზუსტი ოდენობა, რომელიც აუდიტთა ჯგუფის წინასწარი გათვლებით რამდენიმე ათეულ მილიონ ლარს შეადგენს.

ნატა ნიბლაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

განხილვა



„ასულნო იერუსალიმისანო, ნუ სტირთ ჩემზედა“...

გამოვიდა ცნობილი ისტორიკოსის ჯემალ გამახარიას წიგნი „წმინდა აღმსარებელი ამბროსი (ხელაია)“, რომელიც დაიბეჭდა მაღალყოვლადუსამღვდელოესი ჭყონდიდელი მიტროპოლიტის პეტრეს (ცაავა) ლოცვა-კურთხევით. მონოგრაფიაში გაშუქებულია წმინდა აღმსარებელ ამბროსის (ხელაია) ცხოვრება-მოღვაწეობის უმნიშვნელოვანესი ეტაპები მშობლიურ აფხაზეთში — ილორ-ოჩამჩირეში გატარებული ბავშვობიდან დაწყებული ქართული ეკლესიის საჭეთმპყრობელობის უმძიმესი წლებით დამთავრებული. მასში შეტანილია, აგრეთვე, წმინდანის ცალკეული შრომები და დოკუმენტური მასალა, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი პირველად ქვეყნდება.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა ჯემალ გამახარიას ამ ფუნდამენტური ნაშრომის წარდგინება. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა **ჯონი აფაქიძემ** დიდი მადლობა გადაუხადა ავტორს საგულისხმო მონოგრაფიის შექმნისა და მასში ასახული უცნობი ფაქტების წარმოჩენისათვის და ყურადღება გაამახვილა სოხუმის უნივერსიტეტში მისი განხილვის დიდ მნიშვნელობაზე.

მეუფე **ანანია (ჯაფარიძემ)** დალოცა შეკრება და პატრიარქებს შორის წმინდა ამბროსი ხელაიას განსაკუთრებულად გამორჩეული უწოდა. მაშინდელი რეჟიმის პირობებში მიჩქმალული იყო ამ პატრიარქის ღირსება და დიდებაო.

ჭყონდიდელმა მიტროპოლიტმა **პეტრემ (ცაავამ)** დასძინა, რომ დიდია წმინდა ამბროსი აღმსარებლის ღვაწლი, რადგან მის მოწამეობის ხარჯზე საქართველომ შეინარჩუნა თვითმყოფადობაო.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორმა, პროფესორმა **ზურაბ პაპასკირმა** ჯემალ გამახარიას წიგნს ეპოქის მატიანე უწოდა. მან მიულოცა ბატონ ჯემალს დიდი სამეცნიერო წარმატება. აფხაზეთის საეკლესიო ცხოვრების ნომერ პირველმა მემატიანემ ტიტანური შრომა გასწიაო, ეს კაპიტალური მონოგრაფია არის არა მხოლოდ ძალიან მნიშვნელოვანი სამეცნიერო გამოკვლევა, არამედ ძალიან მნიშვნელოვანი იდეოლოგიური თვალსაზრისითო.

„წმინდა ამბროსი აღმსარებელი თავისი შეუპოვრობითა და დიდი ქართველობით ისეთ პიროვნებებს უტოლდება, როგორებიც იყვნენ: გრიგოლ ხანძთელი, გიორგი მთაწმინდელი, დიდი ღვაწლი რომ მიუძღვით ერის წინაშე. დღესაც იგივე ვითარებაა და იმავე პრობლემების წინაშე ვართ, რა პრობლემების წინაშეც იდგა და რისთვისაც იბრძოდა მაშინდელი ქართველობა. წმინდა ამბროსი აღმსარებელი სათავეში ედგა დიდ ბრძოლას საქართველოსთვის 20-იან წლებში ქვეყნის, ეროვნულობის, სახელმწიფოებრიობის გადასარჩენად. თუნდაც როგორ იბრძოდა აფხაზეთისათვის, რომ ეს კუთხე არ დაკარგვოდა საქართველოს! ამ ბრძოლას შეეწირა, და მართლა დიდი ზნეობრივი მაგალითი გვიჩვენა“...

ზურაბ პაპასკირის თქმით, წიგნის წარდგენა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში მნიშვნელოვანი ფაქტია, რადგან სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი 1989 წლიდან დიდი ბრძოლის ავანგარდშია, და სადღაც მემკვიდრენიც კი ვართ იმის, რაც დაგვიტოვა ამბროსიმო.

ვრცელი მოხსენებით გამოვიდა ბატონი **ელდარ ბუბუნაშვილი**, ეს ნაშრომი შინაარსითა და დოკუმენტური მასალით ფრიად საყურადღებოა, თითოეული სიტყვა დოკუმენტური წყაროების ანალიზზეა დაფუძნებულიო.

მონოგრაფიის პირველ ნაწილში გაშუქებულია ამბროსი ხელაიას მოწამებრივი ცხოვრება-მოღვაწეობის, თავდადებული ბრძოლის უმნიშვნელოვანესი ეტაპები მშობლიურ აფხაზეთში — ილორ-ოჩამჩირეში გატარებული ბავშვობიდან დაწყებული ქართული ეკლესიის საჭეთმპყრობელობის უმძიმესი, მაგრამ გმირული წლებით დასრულებული. მონოგრაფიის მეორე ნაწილში შევიდა ამბროსი ხელაიას მიერ გაზეთ „პეტროგრადსკიე ვედომოსტი“-ში დაბეჭდილი და დღეისათვის უკვე სრულად გამოვლენილი სტატიები. მესამე ნაწილში ქვეყნდება ამბროსი ხელაიას ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი დოკუმენტური წყაროები, მათ შორის ცნობები წინაპართა შესახებ; სამეგრელოს სასულიერო სემინარიასა და თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლის ამსახველი მასალები; გენუის კონფერენციაზე გაგზავნილი მემორანდუმი; წერილები საოკუპაციო რეჟიმის წარმომადგენლებისადმი; სპეციალურად შერჩეული რამდენიმე ქადაგება; 1922-24 წლებში საქართველოს საგანგებო კომისიაში და უზენაეს სასამართლოში ჩატარებული წინასწარი დაკითხვების პრაქტიკულად ყველა ოქმი. პირველად სრული მოცულობით ქვეყნდება 1924 წლის 10-19 მარტის ე.წ. სასამართლოს სტენოგრაფიული ანგარიში. ასევე სრული მოცულობით პირველად იხილავს მზის სინათლეს იმავე სასამართლოზე ამბროსი ხელაიას მიერ წარმოთქმული საბოლოო სიტყვა, რომლის ძირითადი ნაწილი 1988 წლიდან არის სამეცნიერო მიმოქცევაში. ამჯერად მასში შეტანილია როგორც პირველი პუბლიკაციისას — 1988 წელს — საბჭოთა ცენზურის მიერ „დაწუნებული“ დოკუმენტიდან ამოჭრილი ადგილები, ისე „საბოლოო სიტყვის“ ძირითადი ტექსტის შედგენის შემდეგ მისი ავტორის მიერ მომზადებული ჩანართები (ანა კლდიაშვილის კოლექციიდან), მის უწმინდესობას ზუსტად ჰქონდა მითითებული, თუ სად, რომელ გვერდზე და რომელ აბზაცში უნდა ჩასმულიყო ესა თუ ის ჩანართი, რამაც შესაძლებელი გახადა „საბოლოო სიტყვის“ სრული ტექსტის დადგენა...



საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის რექტორმა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა **სერგო ვარდოსანიძემ** აღნიშნა, რომ მეოცე საუკუნის საქართველოს ისტორიაში კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი გვყავს იმის მაგალითად, რომ საბჭოთა სისტემა არ მიიღო ქართულმა საზოგადოებამ და შეურიგებელ პოზიციაზე დარჩა. იგი არ დახვრიტეს იმიტომ, რომ ანგლიკანური ეკლესიის მეთაურმა მთელ მსოფლიოს მოსდო ეს ამბავი. 1924 წელს, როდესაც წმინდა ამბროსის სასამართლო მიმდინარეობდა, თბილისში მოლოტოვის საიდუმლო დეპეშა მოვიდა — არ დაეხვრიტათ და გადასახლებით შეეცვალათ. მხცოვანი ასაკის გამო 8 წლამდე თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს, სასტიკი იზოლაციით და მთელი ქონების კონფისკაციით.

„წმინდა ამბროსის ცხოვრება და მოღვაწეობა ის მაგალითია, რომელზეც უნდა აღიზარდოს საზოგადოება. მადლობა ჯემალს ამისათვის. მადლობა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს და ჭყონდიდელ მიტროპოლიტ პეტრეს ინჩხურში ამბროსი ხელაიას ხსოვნისადმი მიძღვნილი შესანიშნავი ღონისძიების გამო,“ — დასძინა სერგო ვარდოსანიძემ.

პროფესორმა **ტარიელ ფუტკარაძემ** ნაშრომს ქართული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვანი შენაძენი უწოდა.

სიტყვით გამოვიდნენ რედაქტორი **ლია ახალაძე,** პროფესორი **გიორგი გაჩეჩილაძე** და სხვები.

მთავარია, რომ ნაშრომი დაიდო, და უკვე მომავალ მკვლევარებს შეუძლიათ აქედან მრავალი საკითხი გამოკვეთონ.

განხილვის დროს არაერთხელ გახმიანდა წმინდა ამბროსი აღმსარებლის სასამართლოზე წარმოთქმული სიტყვები, და ეს წერილიც ამ სიტყვებით მინდა დავასრულო: **„ჩემგან ეროვნული ინტერესების დასაცავად ამაღლებული ხმა და მსჯავრი, რომელსაც მომისჯის უზენაესი სამსჯავრო, მონახავენ თავის ადგილს ყოველის ქართველის გულში, — იმ ქართველისა, რომელსაც ჯერ კიდევ არ დაუკარგავს სარწმუნოება და სამშობლოს სიყვარული. ამითაც ბედნიერად ჩავთვლი ჩემს თავს. როგორც მორწმუნე ვიტყვი — იყოს ნება ღვთისა! — და მოგმართავთ ქრისტეს სიტყვებით: „ასულნო იერუსალიმისანო, ნუ სტირთ ჩემზედა, არამედ თავთა თქვენთა სტიროდით და შვილთა თქვენთა“ (ლუკ. 23, 28).**

თამარ შაიშმელაშვილი

ექო

მექა ხანგოშვილი: ძალიან მიკვირს, ლაფანყურში დაღუპულები რატომ მიასვენეს გლდანის ციხეში?



2012 წლის აგვისტოს ბოლოს ლოპოტის ხეობაში, სოფელ ლაფანყურთან ჩატარებული სპეცოპერაციის დროს დაღუპულთა მშობლები და ახლობლები დაღუპულებისთვის დაზარალებულის სტატუსის მინიჭებას ითხოვენ. როგორც ისინი აცხადებენ, დაღუპულ ბიჭებს ტერორისტის იარლიყი არ უნდა მიაკრან.

სპეცოპერაციის შესახებ ახალ დეტალებსა და მტკიცებულებებზე ყურადღება სახალხო დამცველმა თავის ყოველწლიურ ანგარიშში გაამახვილა, რომელიც ომბუდსმენმა ოჯახის წევრებსა და ახლობლებზე დაყრდნობით მოიპოვა.

რამდენად შეესაბამება ომბუდსმენის მიერ ანგარიშში მოყვანილი ახალი მტკიცებულებები და გარემოებები უკვე გავრცელებულ ინფორმაციას, ამის შესახებ „ჯი-ეიჩ-ენი“ საქართველოში ჩეჩნური დიასპორის წარმომადგენელ მექა ხანგოშვილს დაუკავშირდა.

— ქალბატონო მექა, სპეცოპერაციის შესახებ სახალხო დამცველმა ახალი მტკიცებულებები თავის ანგარიშში ასახა. რამდენად შეესაბამება ისინი თქვენს ხელთ არსებულ ინფორმაციას?

— ვეთანხმები ამ შემთხვევაში სახალხო დამცველს და ვიცი, რომ სახალხო დამცველის აპარატი ომბუდსმენთან ერთად, ძალიან დიდი ხნის განმავლობაში მუშაობდა და არკვევდა ამ სპეცოპერაციის დეტალებს. ბევრ ადამიანთან ჰქონდათ მათ შეხვედრა და, როგორც ამბობდნენ, ბევრი რამ ემთხვევა ერთმანეთის აზრს. ეს ინფორმაციები ახლოს არის სინამდვილესთან.

ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ სახალხო დამცველმა მიმართა საქართველოს პარლამენტს, რომ შეიქმნას საგამოძიებო კომისია. ეს ძალიან მნიშვნელონია, რადგან ბოლო დროს ჩვენთვის აღმაშფოთებელი ინფორმაციები ვრცელდება, თითქოსდა გამოძიებას იქითკენ მიყავს საქმე, რომ დაზარალებულად არ სცნონ ის პირები, რომლებიც სპეცოპერაციის დროს დაიღუპნენ, განსაკუთრებით საქართველოს მოქალაქეები.

— რას გულისხმობთ, ახალი ხელისუფლება ცდილობს გამოძიების ამ გზით წარმართვას?

— გამოძიება მთლად არ არის დაკომპლექტებული. არ გვაქვს საფუძველი, ვთქვათ, რომ ახალი ხელისუფლება არამიზნობრივ გამოძიებას აწარმოებს. უბრალოდ, იქ არის ბევრი ცრუ ინფორმაციაც, რომლებიც ხელს უშლის გამოძიების ობიექტურად წარმართვას. ეს საკმაოდ სერიოზული ხელშემშლელი ფაქტორია, რაც ჩვენს ეჭვებს ამძაფრებს და ამდენად, რა თქმა უნდა, ვერ დავუშვებთ, რომ ამ ბიჭებს ტერორისტების იარლიყი მიაკრან. ამ შემთხვევაში, დღეს ჩვენთვის და მშობლებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ეს არის.

— რამდენად შეუწყობს ხელს სიმართლის გარკვევას იმ საგამოძიებო კომისიის შექმნა, რომლის შექმნაც სახალხო დამცველმა პარლამენტს მოუწოდა?

— როდესაც დამატებითი სახელმწიფოებრივი სტრუქტურული ორგანოც იმუშავებს და შეიქმნება კიდევ ერთი საგამოძიებო კომისია, ეს ხელს შეუწყობს ობიექტურ გამოძიებას.

იხ. 9 გვ.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

საქართველო-რუსეთი: ბრალდება „დათბობის“ ფონზე

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო ბრალს სდებს საქართველოს „პროპაგანდისტული ტრიუკების“ გამოყენებაში „საკუთარი კონფრონტაციული პოლიტიკის“ დაფარვის მიზნით, რაც, მოსკოვის თვალსაზრისით, არ შეესაბამება თბილისის მიერ გამოთქმულ სურვილს რუსეთთან ურთიერთობათა ნორმალიზაციის შესახებ. ასეთი რეაგირება გააკეთა რუსეთის საგარეოპოლიტიკურმა უწყებამ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს შეშფოთების გამო შავ ზღვაზე რუსეთის სამხედრო შენაერთების ფართომასშტაბიანი მოულოდნელი სწავლების დაწყებასთან დაკავშირებით.

„რუსეთი, როგორც დიდი ქვეყანა, არ ეპყრობა დაწყებულ დიალოგს ისეთივე სიფრთხილით, როგორც თბილისი. შესაბამისად, მოსკოვში ძნელად რომ ელოდებოდნენ კრიტიკას საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მხრიდან“, — განაცხადა საქართველოს სახელმწიფო მართვის ინსტიტუტის პროფესორმა თორნიკე შარაშენიძემ.

საქართველოს მხარის „ღრმა შეშფოთება სწავლებასთან დაკავშირებით გამოგონილ ხასიათს ატარებს. ეს განსაკუთრებით ცხადია მსოფლიო გაერთიანების ადეკვატური რეაქციის ფონზე... რუსეთის საფრთხის საჯარო გაბუქება საკუთარი კონფრონტაციული პოლიტიკის დაფარვისთვის — ქართული მხარისთვის ახალი ხერხი როდია... ის, რომ თბილისში აგრძელებენ ასეთ შაბლონურ პროპაგანდისტულ ტრიუკებს, პირდაპირ ვიტყვი, ცუდად ეხამება განცხადებებს რუსეთთან ნორმალიზაციისკენ მისწრაფების შესახებ“, — განაცხადა რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა ალექსანდრ ლუკაშევიჩმა თავის კომენტარებში.

საქართველოს ჯერ კიდევ არ გადაუწყვეტია 2014 წლის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის შესახებ

ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, სწავლებაში დაახლოებით 7 ათასი კაცი, 30 ხომალდი, დაახლოებით 250 ჯავშანმანქანა, 50-მდე სხვადასხვა დანიშნულების საარტილერიო იარაღი, 20-მდე საბრძოლო თვითმფრინავი და შვეულმფრენი, სწრაფი გაშლის ჯარები, აგრეთვე, სპეციალური დანიშნულების ძალები მონაწილეობენ.

„საქართველო აღშფოთებულია რუსეთის სამხედრო ქვედანაყოფების მოულოდნელი და პროვოკაციული მოქმედებებით. სწავლება მიმდინარეობს საქართველოს საზღვაო და სახმელეთო საზღვრის მახლობლად. რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებმა არ გაავრცელეს ინფორმაცია სწავლების ხანგრძლივობისა და სამხედრო ნაწილების ზუსტი დისლოკაციის შესახებ“, — ნათქვამია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში.

სტაბილურობა, „ნორმალური საქმე“ და საიდუმლოებანი

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებით, რუსეთის მოქმედება „ეწინააღმდეგება სტაბილურობის ინტერესებს“ ევროპაში და, სწავლების მასშტაბების გათვალისწინებით, იგი არ შეიძლება განვიხილოთ, როგორც „მოსალოდნელ საფრთხეზე პროპორციული რეაგირება“.

„ეს სწავლება, არაჩვეულებრივია, დაუგეგმავი და სცილდება სამხედრო ქვედანაყოფების ჩვეულებრივი განლაგების ფარგლებს, რაც მითითებულია 2011 წლის ვენის შეთანხმებაში — „ნდობისა და უსაფრთხოების განმტკიცების შესახებ“, — ნათქვამია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს 29 მარტის განცხადებაში.

ამავე დროს, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის პრესმდივანმა დმიტრი პესკოვმა უფრო ადრე განაცხადა, რომ რუსეთი მოქმედებდა „მთლიანად და სავსებით საერთაშორისო სამართლის ნორმების ფარგლებში“, — რომლის თანახმადაც ფართომასშტაბიანი სწავლება არ ექვემდებარება სავალდებულო შეტყობინებას.

რას უმზადებს სააკაშვილი საქართველოს

ნატოს გენერალური მდივნის მოადგილემ ალექსანდრ ვერშბოუმ „ეხო მოსკვისთვის“ მიცემულ ინტერვიუში დაადასტურა, რომ რუსეთის სწავლება „ნორმალური საქმეა“. მიუხედავად ამისა, ვერშბოუმ აღნიშნა, რომ სასურველია, მივაწოდოთ მეტი ინფორმაცია ამგვარ სწავლებათა მიზნებთან დაკავშირებით. „მე ვუთხარი ჩემს რუს კოლეგებს: „მაინც შეგეძლოთ ამის შესახებ გეთქვათ ნატოსთვის. ჩვენ შეგვიძლია საიდუმლოებათა შენახვა“, — განაცხადა ნატოს გენერალური მდივნის მოადგილემ 29 მარტს.

დავა ვალდებულებათა შესახებ

საქართველოს საგარეოპოლიტიკურ უწყებაში ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ რუსეთის სამხედრო სწავლება იწვევს „განსაკუთრებულ შეშფოთებას რუსეთის მიერ ძალის გამოუყენებლობის შესახებ ნაკისრ ვალდებულებებზე უარის თქმის ფონზე“.

თავის მხრივ, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი ალექსანდრ ლუკაშევიჩი თბილისის რეაქციას რუსეთის სამხედრო სწავლებაზე განმარტავს სწორედ იმით, რომ თავად საქართველო აცხადებს უარს „სავალდებულო შეთანხმებებზე უსაფრთხოებათა გარანტიების შესახებ“ სამხრეთ ოსეთთან და აფხაზეთთან დაკავშირებით.

შეგახსენებთ, რომ ნაკისრი ვალდებულებანი ძალის გამოუყენებლობის შესახებ არის ძირითადი საკითხი, რომელიც რამდენიმე წლის განმავლობაში ჩიხში აყენებს ჟენევის მოლაპარაკებას კავკასიაში უშიშროებისა და სტაბილურობის შესახებ, რაც დაიწყო 2008 წელს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების შესაბამისად.

ამ დისკუსიაში მონაწილეობას ღებულობენ გაეროს, ევროკავშირის, ეუთოს, ამერიკის შეერთებული შტატების, საქართველოს, რუსეთის, აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის წარმომადგენლები. კერძოდ, მოსკოვი მოითხოვს თბილისისგან გააფორმოს შეთანხმება ცხინვალთა და სოხუმთან ძალის გამოუყენებლობის შესახებ, მაგრამ თბილისი უარს აცხადებს ხელი მოაწეროს ამგვარ შეთანხმებას, ვინაიდან მიაჩნიათ, რომ გამოყოფილი რეგიონები „არ არიან კონფლიქტის დამოუკიდებელი მხარეები“ და არ შეუძლიათ ხელი მოაწერონ ასეთ შეთანხმებას.

თავის მხრივ, თბილისი მოითხოვს მოსკოვისგან იკისროს ვალდებულება ძალის გამოუყენებლობის შესახებ საქართველოს წინააღმდეგ, რაზეც მოსკოვი აცხადებს, რომ თავი არ მიაჩნია კონფლიქტის მხარედ და, შესაბამისად, უარს აცხადებს ხელი მოაწეროს ასეთ შეთანხმებას. თბილისი ამტკიცებს, რომ საქართველომ უკვე იკისრა ვალდებულება არ გამოიყენოს ძალა თავისი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისთვის და მიუთითებს მიხეილ სააკაშვილის განცხადებაზე ევროპარლამენტში 2010 წლის ნოემბერში და დეკლარაციის შესაბამისად, რომელიც 2013 წლის 7 მარტს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ერთხმად.

„გავაათმაგოთ ყურადღება“

ამავე დროს საქართველოს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია მიიჩნევს, რომ რუსეთის სამხედრო სწავლება შავ ზღვაზე არ უქმნის საქართველოს საფრთხის შეგრძნებას, თუმცა, ამავე დროს, აიძულებს ქვეყანას „გააათმაგოს“ თვალყურის დევნება.

საქართველო და რუსეთი - ურთიერთობათა აღდგენის გზაზე

რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტრომ 22 მარტს უკმაყოფილება გამოთქვა საქართველო-ამერიკის სწავლების გამო და ამ ამბავთან დაკავშირებით განაცხადა: „ნებისმიერი უცხოური დახმარება საქართველოსთვის, რითაც არ უნდა იყოს იგი მოტივირებული, ართულებს რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის გაძლიერების პერსპექტივებს“.

„მოულოდნელი მოქმედებები“

სპეციალისტი საერთაშორისო პოლიტიკაში, სახელმწიფო მართვის ინსტიტუტის პროფესორი თორნიკე შარაშენიძე მიიჩნევს, რომ საქართველოს და რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროების ერთი მეორის მიმართ კრიტიკული განცხადებები გამოწვეულია „მხარეთა მოულოდნელი ნაბიჯებით“. კერძოდ, პოლიტოლოგის თანახმად, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის მოულოდნელმა გადაწყვეტილებამ შავ ზღვაზე ფართომასშტაბიანი სამხედრო სწავლების დაწყების შესახებ გამოიწვია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს „დაბნეულობა“, რაც შემდეგ გამოიხატა თბილისის განცხადების სიმკვეთრეში ამ სწავლებასთან დაკავშირებით.

ამავე დროს, აღნიშნავს შარაშენიძე, ნატოს გენერალური მდივნის მოადგილის განცხადება ადასტურებს იმას, რომ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მხარეებმა თავი შეიკავეს რუსეთის სწავლებათა პირდაპირ კრიტიკაზე, შესაბამისად, მიაჩნია პოლიტოლოგს, ალბათ, რუსეთში არ ელოდებოდნენ საპროტესტო განცხადებებს თბილისისგან, მით უმეტეს, ქვეყნებს შორის დაწყებული დიალოგის ფონზე.

VOA NEWS Голос Америки

დედამიწის ზურგზე

რემბრანდტის „ღამის დაზვერვის“ გაცოცხლებულმა გმირებმა ამერიკის სავაჭრო ცენტრში ფურორი მოახდინეს

ყველაფერი ქურდობიდან დაიწყო: ახალგაზრდა მამაკაცმა რაღაცა გაიტაცა მაღაზიიდან ათობით თვითმხილველის თვალწინ. თითქოსდა, არაფერი განსაკუთრებული არ მომხდარა, მაგრამ ახალგაზრდა რაღაც უცნაურად გამოიყურებოდა, და მის დასაჭერად მოსული პოლიციელებიც — ცხენებზე, ხელში მუშკეტებით — თითქოს საუკუნეების სიღრმიდან მოვიდნენო. როგორც გამოირკვა ეს ასეც იყო.

* * *

განსაკუთრებული შემთხვევა: სააპელაციო სასამართლომ აშშ-ში იაროშენკოს საძმესთან დაკავშირებით მხარეთა კამათი დანიშნა

ჩნდება შეკითხვა, რომ „საქმე, სასამართლოს აზრით, საკმაოდ რთულია, არეულ-დარეულია და არაერთმნიშვნელოვანი“, — განმარტა ოცი წლით პატიმრობამისჯილი მფრინავის ადვოკატმა. ამასთან ერთად, სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება კამათის შესახებ ზუსტად კვირანახევრის შემდეგ, რაც იაროშენკოს ადვოკატებმა სასამართლოს თავისი არგუმენტები წარუდგინეს.

* * *

აშშ-ს არმიის ბაზაზე გაისმა სროლების ხმა: დაიღუპა ერთი კაცი

სროლის ხმა გაისმა მანქანების სადგომზე იმ შენობის მახლობლად, სადაც განლაგებულია პირადი შემადგენლობის შეკრების სამსახური. იქ 3800 კაცი მუშაობს. მთლიანად სახმელეთო ჯარების ბაზაზე ცხოვრობს 40 ათასზე მეტი კაცი. პოლიცია ეძებს მაღალ შავკანიან მამაკაცს.

* * *

საუდის არაბეთის სასამართლომ დამნაშავეს პარალიზაცია მიუსაჯა

24 წლის ალი ალ-ხავაჰირას ელოდება სასჯელი პრინციპით „თვალი თვალისა წილ“, თუ იგი ვერ შეაგროვებს 270 ათას დოლარს კომპენსაციის სახით მეგობრისთვის, რომელიც დამნაშავის „წყალობით“ სარეცელს მიჯაჭვული აღმოჩნდა. დამნაშავე ციხეში იჯდა 10 წელი, და მთელი ამ ხნის განმავლობაში ვერ შეძლო მოეგროვებინა საჭირო თანხა. ამჟამად ის მხოლოდ ქველმოქმედებას ელოდება.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ გაწვდილი ხელი

„ობოლი ბიჭი ვარ, ღარიბი, ღატაკი“...

როდის მოემსახურება დღის ტიპის ცენტრები ქუჩის ბავშვებს?!

„ობოლი ბიჭი ვარ, ღარიბი, ღატაკი და ძუჩაში გავიზარდე“ – ეს სიმღერა ბევრ ბავშვს აერთიანებს სოციალური მდგომარეობითა და ფულის შოვნის გზით.

დემოკრატიულ ქვეყანაში ხურდისთვის ხელის გაწვდენას ვერავინ დაგიშლით. ალბათ, არსად ასე თავისუფლად არ იყენებენ ამ უფლებას, როგორც საქართველოში. ბევრი უნარშეზღუდული ითხოვს დახმარებას, ბოშები გაიძულებენ, ხურდა ან ის წვენი მაინც მისცე, ახლა რომ სვამ. ზოგმა კარდაკარ დაიწყო სიარული და ვინმეს სიცოცხლის გადასარჩენად ან ეკლესიის შესაწირად თანხას აგროვებს.

თავიდან მინდოდა მეც ერთ-ერთი მათგანის გვერდით დავმდგარიყავი და გამეგო, სინამდვილეში რამდენს იღებდნენ, რადგან, დასახელებულ თანხაზე გაცილებით მეტს შოულობენო, ამბობენ.

პირველად ვინც დავინახე, საშუალო ასაკის ქალი იყო, რომელიც შვილთან ერთად იჯდა სადგურის მოედნის მეტროში. როგორც მან თქვა, აღარც დახმარებას იღებს და აღარც სხვა ეხმარება. დღემდე ქირით ცხოვრობს და ხალხის მიცემული 5-20 თეთრით გააქვს თავი. **ინდირა ჯგერენაია: „2006 წლიდან ვშოულობ ასე ფულს. ბავშვი ავად მყავდა და 2001 წელს, მის გამო ბინა გავყიდე. 22 000 დოლარი იაშვილის საავადმყოფოში დავტოვე. 2004 წელს წლის და თერთმეტი თვის იყო, რომ დამეღუპა. დავრჩი ქუჩაში. 2007 წელს „იმედის“ არხზე გამოვედი, ფეხბურთელი ზურა ხიზანიშვილი დამეხმარა მაშინ. ორი წელი ქირისა და საჭმლის ფულს მაძლევდა. კლინიკაში დამლაგებლად დავიწყე მუშაობა, ერთ წელში ისიც დახურეს და დამეწყო ისევ უბედურება. ბავშვთა სახლშიც არ მიიღეს ჩემი შვილი იმის გამო, რომ ჭკვიანია და, ჩვენ მხოლოდ უნარშეზღუდულებს ვიღებთო. ვინმე რომ მეხმარებოდეს, აქ რა მინდა.**

– გიცდიათ სამუშაოს პოვნა?

– როგორ არ მიცდია. ყველაფერი დროებითი იყო. უმაღლესი დამთავრებული მაქვს და დამლაგებლადაც რომ ვიმუშაო, ისეთი ადგილის პოვნაც მიჭირს.

– დღეში რამდენს შოულობთ?

– 7-8 ლარს.

22 წლის **მაკა ბილსიანი** წლებია ამ გზით შოულობს ფულს. არ იცის რამდენს იღებს დღეში, მაგრამ რასაც აძლევენ, ყველა დედასთან მიაქვს. **„დედამ მომიყვანა. ახლა აქ არ არის, ალაგებს.“**

85 წლის ბებომ სახელის გამხელა არ ისურვა, თავმოყვარე შვილი მყავს და იუკადრისებსო. ერთი თვეა, რაც სამათხოვროდ გამოვიდა. პენსია წამლებში არ ჰყოფნის, მუშაობის თავი კი არა აქვს. **„სახელმწიფომ დახმარება მომიხსნა, ხელმეორედ უნდა გაიაროთო. რატომ უნდა მოეხსნათ დახმარება, განათებაც არა მაქვს სახლში. აღწერაზე რომ იყვნენ, ფარნებით დადიოდნენ ოთახში.**

– გყოფნით თანხა, რასაც იღებთ?

– არა, ხალხიც ვერ მეხმარება ისე, ალბათ, არა აქვთ, თორემ კი ვეცოდები. 5-6 ლარს ვიღებ დღეში. ერთი შვილი დამრჩა. ისიც ცუდად არის. თავის თავს ძლივს ეხმარება. ერთი კიდევ ინსტიტუტში მეცნიერ-თანამშრომელი იყო, გაათავისუფლეს, 40 წლის ხარ და აღარ შეიძლება შენი მუშაობაო. დაჯდა სახლში, ინერვიულა და დამეღუპა ინფარქტით.

ქუჩაში დახმარების მთხოვნელები ისე მომრავლდნენ, რომ ბევრმა ნდობა დაკარგა მათ მიმართ. უკვე შინ მივდიოდი, როცა გავიგონე ერთი ქალის კომენტარი ვაგონში შემოსულ შემდეგ მათხოვარზე: **„ამათ ხო გააჭირვეს საქმე“.** ქართველებს გვერდით უცხოელებიც დაუდგნენ და დახმარებას ქართულ-ინგლისურად ითხოვენ: **„დამეხმარე ფლიზ, დამეხმარე გთხოვ.“**

არ არსებობს სტატისტიკა, თუ რამდენი ადამიანია ქუჩაში გამოსული სამათხოვროდ და საცხოვრებლად. მიუხედავად ამისა, თითქოს არაერთი ფონდი ზრუნავს ქუჩაში გამოსულ ბავშვებზე. გაეროს ბავშვთა ფონდი ერთ-ერთია, რომელიც ინტენსიურად მუშაობს ბავშვებისათვის. ევროკავშირისა და გაეროს ფონდის გარკვეული დაფინანსებით იქმნება დღის ტიპის ცენტრები. ორ წელიწადზე გათვლილია 150 000 ევრო, პროგრამის სრული ღირებულება კი 825 000 ევროა. სოციალური კეთილდღეობის პროგრამის ხელმძღვანელი **ქეთევან მელიქაძე: „ამ პროგრამის ამოცანაა აღმოვაჩინოთ ბავშვი ქუჩაში. შევაფასოთ მისი საჭიროებები, შესაძლებლობების მიხედვით – ოჯახის საჭიროებები. დავაფინანსოთ და მივმართოთ ისეთ მომსახურებაში, სადაც მოხდება მისი ბიოფსიქოლოგიური რეაბილიტაცია – ბავშვისთვის სასიცოცხლო უნარ-ჩვევების, სოციალური უნარების სწავლება, მათ ჯანმრთელობაზე ზრუნვა და მცდელობა იმისა, რომ ბავშვი დაუბრუნდეს ოჯახს, სკოლას“.**

2008 წელს ჩატარდა საკმაოდ ძვირი და შრომატევადი კვლევა ოთხ ქალაქში: თბილისში, ქუთაისში, ბათუმსა და რუსთავში. საშუალოდ 1200 ბავშვი აღმოჩნდა ქუჩაში. მათი ზუსტი აღრიცხვა სიძნელეებთან არის დაკავშირებული, რადგან ზოგს დოკუმენტაცია არა აქვს ან სხვადასხვა ადგილზე გადადიან ხოლმე.

გაეროს ბავშვთა ფონდის ინიციატივით იქმნება სამი ტიპის კასკადური მომსახურება. მობილური ჯგუფი, რომელსაც სათავეში უდგას სოციალური მუშაკი. მის შემადგენლობაში შედის ფსიქოლოგი, თანასწორგანმანათლებელი, რომელმაც იცის ამ ქუჩის ბავშვების ენა. ოთხი ადამიანისგან შექმნილი სამი ჯგუფი იმუშავებს ქალაქის სხვადასხვა უბანში. იქ, სადაც ამ ბავშვების თავშეყრის ადგილია. შეეცდებიან მოიპოვონ ბავშვის ნდობა და მიიყვანონ ღია ტიპის დღის ცენტრში.

ქეთევან მელიქაძე: **„დღის ცენტრში ბავშვს შეუძლია დაიბანოს, ჭამოს, წავიდეს და შემდეგ ისევ მოვიდეს. ამ ცენტრს აქვს სხვადასხვა სახის მომსახურება: სამედიცინო, ფსიქოლოგიური, გართობის, განათლების პროგრამები. ასევე ხდება ინტენსიური მიდგომა სადღეღამისო ცენტრში, რომელიც ამზადებს ბავშვს გრძელვადიანი საცხოვრებლისათვის. ეს იქნება მინდობით აღზრდა, რეინტეგრაცია ოჯახში. ასეთ ცენტრში ბავშვი მოათევს ერთ წელს. მინდობის შემთხვევაში სახელმწიფო ქირაობს ოჯახს და გარკვეული პერიოდი იქ იზრდება ბავშვი“.**

მესამე ფორმა არის – 40 მცირე საოჯახო სახლი ფუნქციონირებს სოფლებსა და ქალაქებში, სადაც 8-10 ბავშვი ცხოვრობს აღმზრდელების მეთვალყურეობის ქვეშ. იქვე ჩვეულებრივად დადიან სკოლებში.

გაეროს ბავშვთა ფონდი დასაქმებას განიხილავს იმის მიხედვით, თუ რა პროფესიული ინტერესი აქვს ბავშვს. ქეთევან მელიქაძე: **„ბავშვების ინტერესი უნდა შეესაბამებოდეს იმ გარემოს, სადაც იზრდება. კონკრეტული ფორმულა კი არ არსებობს ბავშვების დასაქმების, მაგრამ ფიქრის საგანი არის“.**

– ქალბატონო ქეთევან, დაიწყო დღის ცენტრების მშენებლობა და თუ არის მისი დათვალიერება შესაძლებელი?

– პროგრამის ფარგლებში იგეგმება თბილისში სამი დღის ცენტრის და 2 სადღეღამისო თავშესაფრის გახსნა, დასავლეთ საქართველოში – სავარაუდოდ ქუთაისში – კიდევ ერთი დღის და ერთი სადღეღამისო. დათვალიერება ჯერ ვერ მოხერხდება. ამ ეტაპზე სრულდება მოლაპარაკებები კონტრაქტორებთან, რომ დაიწყოს სარემონტო სამუშაოები და აღჭურვა. პარალელურად მოხდება პერსონალის ტრენინგები. ყოველივე ეს ევროკავშირის ფულით კეთდება, რათა აეწყოს სახელმწიფოს მიერ მართული სისტემა, რომელიც ეფექტურად მოახერხებს ბავშვების მოძიებას ქუჩაში, მათი საჭიროებების შეფასებას, რეაბილიტაციასა და რეინტეგრაციას საზოგადოებაში.

„ხშირად მეკითხებიან რა არის ადამიანის უფლებათა ყველაზე სერიოზული დარღვევა დღეს მსოფლიოში და ჩემი პასუხი უცვლელია: უკიდურესი სიღარიბე“, – მერი რობინსონი – გაეროსა და ადამიანის უფლებათა ყოფილი უმაღლესი კომისარი.

ძალიან კარგია, ამ პრობლემასთან დაკავშირებით სასიკეთო ძვრები რომ შეინიშნება. მაგრამ მეორეა, როდემდე უნდა იყოს ქვეყნის პრობლემების გადაჭრა მოლაპარაკებების სიკეთეზე დაყრდნობილი?..

დრო გადის, კონტრაქტორებთან მოლაპარაკებები გრძელდება და ამ ფონზე მეტროს ყოველ გაჩერებაზე თუ ვაგონში დახმარების მთხოვნელთა რიცხვი დღითი დღე იზრდება. ერთი სიტყვით, საქმე სასწრაფოდ მისახედია!..

თინათინ დვალი,
გურამ თავართქილაძის უნივერსიტეტის სტუდენტი,
„საქრესპ“ სპეც. კორ.

◎ ექო

მექა ხანგოშვილი: ძალიან მიკვირს, ლაფანყურში დაღუპულები რატომ მიასვენეს გლდანის ციხეში?

(ფემიდე ბეჟრიდან) **– რამდენად შეესაბამება სინამდვილეს სახალხო დამცველის ინფორმაცია იმის შესახებ, რომ გასული წლის გაზაფხულზე საქართველოში 120 ეთნიკური ჩეჩენი ჩამოიყვანეს და მათთვის თბილისში ბინებს ქირაობდნენ?**

– ასეთი ინფორმაციები ნამდვილად იყო და ახლა, უდანაშაულობის პრეზუმფციიდან გამომდინარე, ვიდრე გამოძიებას არ აქვს დადებული ვერდიქტი, რა თქმა უნდა, რთულია ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა. ფაქტია, რომ შეიარაღებული დაჯგუფების წევრებს ჰქონდათ შსს-ს მიერ გაცემული დოკუმენტები, იარაღის ტარების, მართვის მოწმობები და ასევე – იარაღი. ეს ყველაფერი მიუთითებს იმაზე, რომ ამ შემთხვევაში შსს საქმის კურსში იყო.

– სპეცოპერაციამდე ერთი თვით ადრე, შსს-ს მიერ ასლან მარგოშვილზეც იყო გაცემული ცეცხლსასროლი იარაღის რეგისტრაციის მოწმობა?

– დიახ. ის, რომ მშობლებს საზღვარგარეთ ეგონათ და ამ დროს ის საქართველოში იღებს ამ იარაღს, რა თქმა უნდა, ესეც ხელჩასაჭიდი ფაქტორია.

– სახალხო დამცველის ინფორმაციით, სპეცოპერაციის დროს გადარჩენილები ამჟამად ევროპასა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში იმყოფებიან, ამაში კი მათ შსს-ს მაღალჩინოსნები ეხმარებოდნენ. რამდენად სწორია ეს ინფორმაცია და მასში შსს-ს წარმომადგენლების მონაწილეობა?

– ამაზე რთულია ახლა საუბარი, გამოძიებას დაველოდოთ. როცა ადამიანს საკუთარი თვალით არ აქვს ნანახი ამაზე ცოტა რთულია საუბარი. ფაქტია, რომ მათ ვიღაცების დახმარებით გააღწიეს, თორემ ისე ადვილი არ იქნებოდა.

იმ პერიოდში ჩვენთვის ძალიან აღმაშფოთებელი იყო ის ფაქტი, რომ პრეზიდენტი გამოვიდა და ამბობდა, წარმატებული სპეცოპერაცია ჩატარდაო. ამ დროს 2 000 სპეცრაზმელი ჩავრთეთო და 16 მეომრიდან 9 გაექცათ. ამიტომ, არ იყო წარმატებული სპეცოპერაცია. წარმატებულია ის სპეცოპერაცია, როდესაც ცოცხლად აყვანა ხდება და არა ლიკვიდაცია. ლიკვიდაცია ადამიანის ყველაზე იოლი ხერხია.

– რამდენად მნიშვნელოვანია სახალხო დამცველის ჩართვა აღნიშნულ საკითხში და კონკრეტულად ვისგან უნდა მიიღოს მან დამატებითი ინფორმაცია?

– ძალიან მნიშვნელოვანია, არა მხოლოდ ჩვენთან შეხვედრა და ინფორმაციის მიღება, არამედ იმ ქართველი სპეცრაზმელების მშობლების დაკითხვა, იმის შესახებ, თუ როგორი ზეწოლა იყო მათ მიმართ. მე შევხვდი ერთ-ერთი მოკლული სპეცრაზმელის ჩოხელის მშობლებს და არანაკლებ შემაშფოთებელია, რაც მათ მიმართ ჩაიდინეს. ორი თვის განმავლობაში მათ არც ცხედარს აძლევდნენ, არ ეუბნებოდნენ რომელ მორგში იყო დასვენებული. მერე უკვე დაშინებები ხდებოდა ყველანაირად. მშობლებს გაათხრევინეს საფლავები და მერე არ აძლევდნენ ცხედრებს. საქართველოს ისტორიაში მე მგონი არ მომხდარა მსგავსი ფაქტი, რომ დაკრძალვის უფლებას არ აძლევდნენ, ჭიშკრები არ გაახსნევინეს. ხალხს მისვლის უფლება არ მისცეს. ეუბნებოდნენ, თუ ამას არ გააკეთებთ ჩვენ თქვენს შვილებს ტერორისტებად გამოვაცხადებთო.

– დაღუპულთა გვამების მშობლებისთვის გლდანის ციხის ტერიტორიაზე გადაცემის შესახებ ინფორმაცია, რამდენად შეესაბამება სინამდვილეს?

– მე ძალიან მიკვირს, როდესაც ამდენი მორგი და ამდენი საშუალებაა, რატომ მიასვენეს მიცვალებულები გლდანის ციხეში. ეს ძალიან მძიმე ეჭვებს ბადებს. ვერ მივმხვდარვართ რატომ მოხდა ეს. სხვათა შორის, პატიმრები ადასტურებენ, რომ ცხედრები გლდანის ციხეში მიასვენეს ისედაც, როდესაც უკვე დაუბრუნეს ეს სამი ცხედარი – მარგოშვილის, ალდამოვის, ბაღაკაშვილის, ამ უკანასკნელის დედა ამბობდა, რომ სწორედ გლდანის ციხიდან წამოიღეს მათ ცხედარი. ასევე, მარგოშვილის და ალდამოვის ცხედრებიც გლდანის ციხიდან გადმოასვენეს. ჩვენ ვერ ვხვდებით რისთვის მიასვენეს იქ ცხედრები.

– თუ დაღუპულები არ ცნეს დაზარალებულებად, ამ შემთხვევაში რის გაკეთებას გეგმავთ?

– რა თქმა უნდა, არც ერთ შემთხვევაში არ დავუშვებთ ამას. პანკისის ხეობა, როგორც ერთი ისე დადგება ფეხზე. ეს არის ყველას მიმართ დანაშაული. პირველ ეტაპზე, აუცილებლად გავასაჩივრებთ ევროსასამართლოში. ამას რა თქმა უნდა, არავინ შეეგუება. მარგოშვილის მამა ძალიან მძიმე მდგომარეობაში მყოფი გადაყვანილია ბელორუსში ის ამბობს, რომ მისი მდგომარეობა არაფერია, სანამ მის შვილს აღნიშნულ საქმეს არ ჩამოაშორებენ. ამიტომ, ისინი დაზარალებულად უნდა ცნონ.

ესაუბრა
ლელა ცინცაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ თეორია

სემინარები სასკოლო ხელბურთში

საძართველოს რამდენიმე ქალაქში საჯარო სკოლების სპორტის მასწავლებლებისათვის სემინარები ტარდება. მიღებული ცოდნა მათ გაკვეთილებზე ხელბურთის თამაშის გამარტივებული წესებით სწავლებაში დაეხმარებათ. სემინარს საერთაშორისო ექსპერტი ხელბურთში, პრაღის უნივერსიტეტის პროფესორი ფრანტიშეკ ტაბორსკი მართავს. ჩეხ ექსპერტს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ალუდა გოგლიჩიძე, სამინისტროს სხვა წარმომადგენლები შეხვდნენ და მომავალი სამეცნიერო თანამშრომლობის შესაძლებლობები განიხილეს.

სემინარები ხელბურთის საერთაშორისო ფედერაციის განვითარების პროგრამის „სასკოლო ხელბურთი“ ფარგლებში ეწყობა. პროექტი მიზნად ისახავს საჯარო სკოლების პედაგოგთა დახმარებას სწორად წარმართონ სპორტის გაკვეთილები და შეჯიბრებებში მონაწილეობის მოტივაციით საფუძველი ჩაუყარონ სკოლის ხელბურთის გუნდების შექმნას, ხელი შეუწყონ ახალგაზრდა თაობაში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას.

სემინარებს მასპინძლობს საქართველოს სამი ქალაქი: ქუთაისი (3-5 აპრილი), ყვარელი (7-9 აპრილი) და თბილისი (10-12 აპრილი). მონაწილე პედაგოგებს უტარდებათ როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული კურსი. სემინარს ტესტირება დაასრულებს, რომლის შედეგების მიხედვით პედაგოგებს სერტიფიკატები გადაეცემათ.

ხელბურთი მსოფლიოში აღიარებულია, როგორც ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ოლიმპიური სპორტის სახეობა.

მე-20 საუკუნის 60-იანი წლებიდან საქართველოში ხელბურთის დიდი ტრადიციები არსებობს. საქართველოს ხელბურთის ეროვნული ფედერაცია აქტიურადაა ჩაბმული ევროპისა და საერთაშორისო ფედერაციების განვითარების პროგრამებში, რომელთა მიზანია ხელბურთის, როგორც სათამაშო სპორტის სახეობის დანერგვა და მისი პოპულარიზაცია.

სადღეისოდ ჩვენი ქვეყნის მრავალ საჯარო სკოლაში ხელბურთი სპორტის გაკვეთილის ძირითადი საგანია.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ფეხბურთი

ამბიციათა ტყვეობაში

ახალი სეზონის წინ „გალათასარაიში“ განხორციელებულმა სოლიდურმა ინვესტიციამ თურქული ლომის მრავალრიცხოვანი ქომაგები ოპტიმიზმით აავსო და მათთვის საამური 2001 წელი გაახსენა, როცა სტამბოლში ჯერ უეფას, ხოლო შემდეგ ევროპის სუპერთასებმა დაიდო ბინა.

ხომ გსმენიათ — მადა ჭამაში მოდისო. ჰოდა, ფათიჰ თერიმის მიერ შეკრული ანსამბლი (იგივე არწივი) ისე მაღლა აფრინდა, რომ ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალს უწია და, ჰოი საოცრებავ, ბოსფორის ნაპირებზე უკვე მორიგ ტრიუმფზე დაიწყეს ოცნება.

გეთანხმებით — ოცნებას კაცი არ მოუკლავს, მით უმეტეს მაშინ, როცა ზურგს დროგბასა და სნეიდერის კალიბრის ვარსკვლავები გიმაგრებენ, მაგრამ, მოგეხსენებათ, თავს ზემოთ ძალა არაა.

დიახ, მადრიდის „რეალსა“ და მის თავკაცს წლეულს გაცილებით მეტი მოტივაცია ამოძრავებთ, ვიდრე მათ ამბიციურ მეტოქეს. საუბარია როგორც „სამეფო კლუბის“ მეათე აღზევებაზე, რასაც კარგა ხანია ელიან პირენეებზე, ისე ჟოზე მაურინიუს პირად ავტორიტეტზე, რომელსაც ყველაზე უფრო მსუყედ ლონდონურ ფინალში გამარჯვება განამტკიცებს.

ჩემპიონთა ლიგა

მეოთხედფინალი

I მატჩები

„რეალი“ — „გალათასარაი“ 3:0 (2:0)

გოლები: რონალდუ, ბენზემა, იგუაინი.

„მალაგა“ — „ბორუსია“ 0:0.

საპასუხო რაუნდის შეხვედრები 9 აპრილს გაიმართება.

გიორგი შოთაძე

სანთელი

სერგო ძურძუკი

რომ იტყვიან, ორი მუზის მსახურიო, სწორედ ასეთად ვიცნობდით სერგო ძურძუკს, რომელიც, ჯერ კიდეც ძალ-ღონით აღსავსე, ამ 40 დღის წინათ სამუდამოდ გამოგვეთხოვა და უსაზღვრო სევდა დაგვიტოვა.

საბედნიეროდ, დრო ვერაფერს დააკლებს ქართულ ლიტერატურასა და სპორტში მის მიერ გავლებულ ხნულს.

დღეს კარგი კალმოსნისა და მძლეოსანთა თაობების აღმზრდელის დაბადების დღეცაა.

ნათელი დაადგეს!

მეგობრები

◎ ვითარება

როცა ურემი გადაბრუნდა

ბოლო დროს საფეხბურთო კლუბ „ზუგდიდში“ განვითარებული მოვლენები იმის მიზეზი გახდა, რომ კლუბის ხელმძღვანელები და გულშემატკივრები ერთად დამსხდარიყვნენ, რათა არსებული პრობლემები განეხილათ.

ოდიშელმა ფეხბურთელებმა სეზონის საგაზაფხულო ნაწილი ძალიან ცუდად დაიწყეს და უფრო ცუდი შედეგით ბოლო ტურის მატჩი გორის „დილასთან“ დაასრულეს. შიდაქართლელებთან დიდი ანგარიშით (0:6) მარცხმა ზუგდიდურ კლუბში ფეხბურთელების მიმართ სანქციების გატარებაც გამოიწვია.

ხელმძღვანელობის განმარტებით, ბევრი ფეხბურთელი, რომელიც 18-კაციან განაცხადში ხშირად ხვდებოდა, დუბლშემადგენლობაში დააქვეითეს, ხოლო სათადარიგო შემადგენლობის ბევრი ახალბედა ფეხბურთელი დააწინაურეს და შესაძლოა, რამდენიმე მათგანმა სასტარტოშიც ითამაშოს.

წარუმატებელ სერიებზე, გუნდში არსებულ პრობლემებსა და სამომავლო გეგმებზე სასაუბროდ ზუგდიდელ გულშემატკივრებთან შეხვედრის სურვილი კლუბის დირექტორმა მალხაზ ჭეჟიამ და მთავარმა მწვრთნელმა ელგუჯა ქომეთიანმა გამოთქვეს.

მალხაზ ჭეჟია: „მინდა დიდი მადლობა გადაგიხადოთ ყველას მობრძანებისთვის. დიდი ხანი არაა, რაც კლუბის ხელმძღვანელი ვარ, მაგრამ თქვენთან შეხვედრა კლუბში მოსვლის დღიდან მქონდა დაგეგმილი. თუმცა, სამწუხაროდ, გარკვეული მიზეზების გამო ეს დღემდე ვერ მოხერხდა, რისთვისაც ბოდიშს გიხდით.

ჩვენი გუნდის შედეგებიდან გამომდინარე, ზედმეტია ვისაუბრო იმის თაობაზე, თუ რას განვიცდით ყველანი, მაგრამ იმედი მაქვს საუბარი ჩვენს შორის გულღია იქნება და ერთობლივად დავსახავთ კრიზისიდან გამოსვლის გზებს. მე დღესაც იმ აზრზე ვრჩები, რაც ორი დღის წინათ მქონდა — კლუბთან ერთად მივიღე მთავარი მწვრთნელის ელგუჯა ქომეთიანის არგათავისუფლების გადაწყვეტილება. მიუხედავად დღეს არსებული შედეგებისა, მან აუცილებლად უნდა გააგრძელოს გუნდთან ერთად მუშაობა, რადგან მიმაჩნია, რომ გუნდის დღევანდელი ჩავარდნა სამწვრთნელო შტაბს არანაირად უკავშირდება და მეიმედება ამ მდგომარეობიდან მალე გამოვალთ. კარგად იცით ყველამ, რომ ჩვენს გუნდს სხვა კლუბებთან შედარებით მწირი ბიუჯეტი აქვს და ვერ დავიკვეხნით ამ მხრივ, როგორც თბილისის „დინამო“, გორის „დილა“, ქუთაისის „ტორპედო“ და „ზესტაფონი“. ხშირად სავარჯიშო პირობებიც კი გვიჭირს, მაგრამ ეს იმ შედეგს მაინც არ ამართლებს, რაც დღეს გვაქვს. ჩვენ მეტის მოლოდინში ვართ და, იმედია, ყველაფერი დალაგდება“.

ელგუჯა ქომეთიანი: „სამწუხაროა, რომ ერთმანეთთან შეხვედრა მძიმე ფონზე გვიწევს და ყველას ერთი მთავარი კითხვა გვაწუხებს, თუ რა არის მიზეზი ჩვენი გუნდის წარუმატებლობისა. აბსოლუტურად ყველას მივეცით თავის გამოჩენის შანსი და ბევრ მათგანს შეეძლო სასტარტოშიც დამკვიდრებულიყო, მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ მივიღეთ უკუშედეგი, რამაც გორში განცდილი კატასტროფული მარცხის შემდეგ მიმაღებინა გადადგომის შესახებ გადაწყვეტილება. მადლობას ვუუბნები ჩვენი კლუბის ხელმძღვანელობას ნდობისთვის, რომ გუნდში მუშაობა გავაგრძელო, მაგრამ ნურავინ იფიქრებს ისე, რომ ჩემი გადადგომის გადაწყვეტილება დღის წესრიგიდან მოხსნილია, ვინაიდან მომავალში ასეთ შედეგს არავინ შეეგუება.

აქედან გამომდინარე, კლუბის ხელმძღვანელობასთან ერთობლივად მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ რამდენიმე ფეხბურთელი დაგვესაჯა და გადაგვეყვანა დუბლშემადგენლობაში, ხოლო დუბლებიდან ზოგიერთებისთვის მიგვეცა თავის გამოჩენის შანსი. მიუხედავად იმისა, რომ გუნდს უმაღლესი ლიგიდან გავარდნის არანაირი საშიშროება არ ემუქრება, არცერთ ფეხბურთელს მოდუნების საშუალებას არ მივცემთ, თავი დაიმშვიდონ. მართალია, ჩვენს გუნდს ზედა ექვსეულის შემდეგ მთავარ მიზნად საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლა და მიმდინარე წელს ევროლიგის საგზურის მოპოვება არ დაუსახავს, მაგრამ თავიდანვე ცხადი იყო, რომ სტატისტის როლში ყოფნას არ ვაპირებდით და არც დარჩენილ ტურებში ვაპირებთ, ვინმესთვის ქულების ყულაბა ვიყოთ“.

— თქვენ ახსენეთ ფეხბურთელების დასჯა. რამდენ ფეხბურთელს შეეხო სანქციები და კონკრეტულად, ვინ არიან ისინი? ასევე რომელი ფეხბურთელები დაწინაურდნენ?

ელგუჯა ქომეთიანი: „დასჯილებს რაც შეეხება, ასეთი შვიდი ფეხბურთელია, მაგრამ შესაძლებელია კორექტივები კიდევ შევიდეს და ამას მომავალ ტურში თავად ნახავთ.

სათადარიგო შემადგენლობიდან კი ჩვენს პირველ გუნდთან ერთად ვარჯიშის უფლება ძმებს ნიკა და იკა ქირიებს, დათა ქირიას, ლუკა კობერიძეს, კოკა საბეკიას, გრიგოლ ბერიშვილს, შახი თოლორაიას, გიორგი როგავას და კოკა ქომეთიანს მივეცით. ამ უკანასკნელის გვარმა ეჭვები არ შეგიქმნათ, თითქოს ლობირებას მოგვარეს ვუწევდე, მიუხედავად იმისა, რომ ეს ბიჭი ნათესავად მერგება. დუბლების თამაშს ვინც თვალი მიადევნა საგაზაფხულო სეზონზე, ამ ახალბედა ბიჭებთან ერთად, რომლებსაც ვფიქრობთ შანსი მივცეთ, ქომეთიანიც იმსახურებს. თუმცა, ღმერთმა არ ქნას და ამ ბიჭების მხრიდანაც არასათანადოდ საქმის მიდგომა თუ ვნახეთ, სანქციები იმავე წუთს ქომეთიანით დაიწყება და ჩვენგან წყალობა არცერთს არ ექნება. დასჯილებისთვის კი კარი არავის მიუხურავს და ისინი გუნდიდან მოკვეთილი არ არიან. ვაღიარებ, რომ ამ ხალხში ნიჭი და პოტენციალი ბლომად არის, მაგრამ ისინი სათანადო სპორტულ ფორმაში უნდა შევიდნენ, რაც მათ ძირითადში დაბრუნების საშუალებას მისცემს“.

— მეორე ეტაპზე გუნდი საკმაოდ ბევრმა ფეხბურთელმა დატოვა, „დილას“ წინააღმდეგ კი ვერ ვნახეთ ირაკლი ქობალია.

ელგუჯა ქომეთიანი: „გადაჭრით ვიტყვი, რომ ირაკლი ქობალია ამჟამად “ზესტაფონშია“ და, რამდენადაც ვიცი, ის უკვე ამ კლუბის წევრი ხდება. დასანანია გუნდიდან ასეთი ფორვარდის წასვლა, მაგრამ მას მაისის ბოლოს ისედაც უმთავრდებოდა კონტრაქტი და გუნდიდან წასვლა გადაწყვეტილი ჰქონდა. ბევრ თქვენგანს გაუჩნდება კითხვა, ხომ არ აჯობებდა ქობალია მაისის ბოლომდე აქ დარჩენილიყო და ჩვენს გუნდს დახმარებოდა? ფეხბურთელისთვის, რომელსაც გუნდიდან წასვლა ისედაც გადაწყვეტილი ჰქონდა, უმჯობესი იქნება, აქედანვე შეეწყოს იქაურ გარემოს. იცით, რომ წინა სეზონში მიღებულმა ტრავმამ მისი ტრანსფერი ამავე კლუბში შეაჩერა, ხოლო როცა მომჯობინდა, ჩვენ ის თურქეთშიც ვიახლეთ, მაგრამ, სამწუხაროდ, ის ანთალიაშიც დაგვიშავდა და ამ ეტაპზეც ვერ იყო საუკეთესო ფორმაში. ამიტომ მიგვაჩნია, რომ ახალი გარემო მისი განვითარებისთვის საუკეთესო ვარიანტია. გვყავს ახალწვეული შემტევი ნახევარმცველი ნუკრი გოგოხია, რომელსაც კარგა ხანია ვაკვირდებით. ტრავმის გამო ამ ფეხბურთელს დიდი დრო გაუცდა, თუმცა თანდათან ის ფორმაში შედის და სათამაშო დროს ამ სეზონის ბოლომდე მივცემთ“.

შეხვედრამ, რომელმაც საათნახევარი გასტანა, არაერთი პრობლემატური საკითხი მოიცვა. გულშემატკივრები სტადიონის საკითხითაც დაინტერესდნენ. ყველამ უწყის, რომ „ზუგდიდს“ სადღეისოდ საკუთარი სტადიონი არ გააჩნია და გუნდი განმუხურში თამაშობს. ინფრასტრუქტურულ საკითხებზე კლუბის დირექტორმა ისაუბრა.

მალხაზ ჭეჟია: „გუნდს, როგორც იცით, საკუთარი ბაზა არ გააჩნდა და აქამდე „ბაიას“ ბაზაზე ვარჯიშობდა. სადღეისოდ შეძლებისდაგვარად მოვაწესრიგეთ რუხის ბაზა, სადაც გუნდი ემზადება და მიდის მუშაობა, ის ვაქციოთ ნორმალურ საფეხბურთო კომპლექსად. ვიდრე ზუგდიდს ნორმალური, თანამედროვე სტადიონი ექნება, მანამდე გვაქვს ადგილობრივი მთავრობისგან პირობა, რომ ქალაქიდან არც თუ შორს მდებარე ზედა ეწერის სტადიონი მოვიყვანოთ იდეალურ ფორმაში. იქ არის შესაძლებლობა, რომ ეროვნული ჩემპიონატის მატჩებს ვუმასპინძლოთ. ახალი სტადიონის აშენების შემდეგაც ზედა ეწერის სტადიონი ჩვენი კლუბისთვის მაინც უდიდესი შეანაძენი იქნება, სადაც დუბლები და ჭაბუკთა ლიგის გუნდები, თამაშებთან ერთად, ნორმალურ ვარჯიშებს ჩაატარებენ, თუმცა ეს სამომავლოდ“.

გულშემატკივრები ფანკლუბის საკითხსაც შეეხნენ. კერძოდ, ერთ-ერთმა დასვა კითხვა, თუ რატომ არ იმყოფებოდნენ შეხვედრაზე ფანკლუბ „მგლების“ წარმომადგენლები (ზუგდიდში ორი ფანკლუბია: „აბრაგები“ და „მგლები“). ამ თემაზე ჟურნალისტებს და შეკრებილებს „ზუგდიდის“ გულშემატკივართა მეკავშირე ოფიცერმა მერი შენგელაიამ უპასუხა.

მერი შენგელაია: „ჩვენ მოწვევა ყველას გავუგზავნეთ და სრულიად გაუგებარია, ფანკლუბ „მგლების“ წარმომადგენლები შეხვედრაზე რატომ არ იმყოფებიან. ოფიციალურად კი ჩვენ ფანკლუბი „აბრაგები“ დავარეგისტრირეთ. თუმცა, მეორე მხარესაც ჩვენი მეგობრები არიან და მათ უფლება აქვთ, ისე როგორც ნებისმიერს, საკუთარი ქალაქის გუნდს ნებისმიერი ფორმით უქომაგონ. მაინც მიმაჩნია, რომ ორივე ფანკლუბის გაერთიანება ყველაზე საუკეთესო ვარიანტია და მეიმედება, ეს ასეც მოხდება“.

ბეჟან დოლიძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ ყვავს რა ჰქონდა...

ჩინელთა მშენებლობა ვარკეთილში - ქართველთა დაქცევა თუ აღორძინება?!

გამოცემა Eurasianet აქვეყნებს მოლი კორსოს სტატიას სახელწოდებით – „ჩინური ინვესტიცია ქართული სტუმართმოყვარეობის საზღვრებს გამოცდას უწყობს“.

როგორც სტატიის ავტორი აღნიშნავს, ბევრი ქართველისთვის რთულ მდგომარეობას ქმნის თბილისის გარეუბანში ჩინური უძრავი ქონებისა და ტურიზმის 150-მილიონდოლარიანი პროექტის განხორციელება. პროექტი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის დიდი ხნის სურვილის განხორციელებაა, თუმცა, ასევე შეშფოთებას იწვევს უცხოურ ზეგავლენასთან მიმართებაში.

საბჭოეთის დროინდელი საცხოვრებელი ნაგებობების ნგრევის ფონზე, პროექტი, რომელსაც ჩინური კერძო კომპანია „ჰუალინგ ჯგუფი“ ხელმძღვანელობს, თბილისში, ვაზისუბნის რაიონში 420 ჰექტარ მიწაზე გეგმავს სხვადასხვა სახის მშენებლობებს.

როგორც „ევრაზიანეტის“ სტატიაშია ნათქვამი, გასულ წელს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მთავრობამ შეაქო კიდეც „ჰუალინგ ჯგუფი“ ესოდენ საჭირო ინვესტიციების მოზიდვისთვის და თბილისის მჭიდროდ დასახლებული ნაწილის ხელმოკლე მოსახლეობის დასაქმებისთვის. პირველ ეტაპზე პროექტში განხორციელებული ინვესტიციის დონე ხუთჯერ აღემატება 2012 წელს საქართველოში განხორციელებულ ჩინურ ინვესტიციებს.

ამავდროულად ხმები, რომ პროექტში 127 ათასი ჩინელი იმიგრანტი დასაქმდება და თბილისში იცხოვრებს, – წერს მოლი კორსო, – ადგილობრივების შეშფოთებას იწვევს, რადგან უცხოელები მათ საკუთარ მიწაზევე ართმევენ ისედაც რთულად საშოვნელი სამუშაოს პოვნის შესაძლებლობას.

– თუ ამდენი ჩინელი ჩამოვა, ჩვენ აღარაფერი დაგვრჩება, – ციტირებს სტატიის ავტორი ქართველი პენსიონერის სიტყვებს.

როგორც მოლი კორსო წერს, გასულ წლებში თბილისმა უკვე იწვნია აფრიკელი და სამხრეთაზიელი, ისევე როგორც ჩინელი მოვაჭრეებისა და არაბი ინვესტორების შემოჭრა. მაგრამ ქვეყანაში, რომელიც 4,49 მილიონი მოსახლეობისგან შედგება და უმუშევრობა 50%-ზე მეტს აღწევს, ამ ვიზიტორებს ზოგჯერ უფრო ეკონომიკურ საფრთხედ მიიჩნევენ, ვიდრე – შესაძლებლობების წყაროდ.

სტატიის ავტორი აღნიშნავს, რომ „ჰუალინგ ჯგუფის“ წარმომადგენლები უარყოფენ, რომ თბილისში ჩინელთა მასობრივ დასახლებას გეგმავენ. საცხოვრებელი სახლები, რომელთა მშენებლობა ოლიმპიური სოფლის დასრულების შემდეგ დასრულდება, ღია ბაზარზე გაიყიდება და არ არის გათვლილი 127 ათას ადამიანზე.

როგორც კომპანიის პრესმდივანი თინა შინაშვილი აცხადებს, პროექტში დასაქმებული 659 ადამიანიდან 531 საქართველოს მოქალაქეა.

სტატიის მიხედვით, არც ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში და არც თბილისის მერიაში არ გააკეთეს კომენტარი დაგეგმილ ინვესტიციებზე. პროექტის არქიტექტურული გეგმა კი კვლავ მერიის თანხმობას ელოდება.

ქართველთა დამოკიდებულება ჩინელებისადმი – და ზოგადად, იმიგრანტებისადმი, – კვლავაც რთულია. 2010 წელს ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ თუ 2,089 გამოკითხული ქართველიდან 57% მხარს უჭერს ჩინელებთან ერთობლივი ბიზნესის წარმოებას, 80% მათთან დაქორწინების წინააღმდეგია. მართალია, ქართული კულტურა სტუმართმოყვარეობასა და სტუმრისადმი პატივისცემას ითვალისწინებს, თუმცა, ქართველები შერჩევითი პრინციპით უდგებიან, რომელი ეთნიკურ ჯგუფს დახვდნენ გულუხვად.

– ჩინელი ბიზნესმენისთვის იუ ჰუასთვის საქართველო კვლავაც შესაძლებლობების ქვეყნად რჩება, თუმცა, ის აღნიშნავს, რომ მთავრობამ და მედიამ „სწორი ინფორმაცია“ უნდა მიაწოდოს ხალხს, რათა გაფანტოს მოარული ხმები, რომელმაც შესაძლოა, შეარყიოს ქართულ-ჩინური ბიზნეს ურთიერთობები, – ნათქვამია „ევრაზიანეტის“ სტატიაში.

◎ ჩქარა თორემ...

ინდოელების ჩამოსვლამ ქართველი ფერმერების შეშფოთება გამოიწვია

საქართველოში ჩამოსახლებული ინდოელი ფერმერების შესახებ სიუჟეტს ამჯერად ერთ-ერთი ინდური ტელეკომპანია – NDTV ავრცელებს. როგორც სიუჟეტშია აღნიშნული, პენჯაბელი ფერმერები ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყანა საქართველოში ჩადიან, რადგან იქაური იაფი მიწებითა და ნოყიერი ნიადაგით ცდუნდებიან. თუმცა, ადგილობრივი ქართველი ფერმერები მათი ჩასვლის გამო შეშფოთებულნი არიან.

როგორც სიუჟეტის ავტორები აცხადებენ, საქართველოში უკვე აღარ უკვირთ ფერად ინდურ კოსტიუმებში გამოწყობილი ფერმერების დანახვა და მათ მიერ იმ მიწების დამუშავება, რომლის დამუშავებაც ქართველებმა 1991 წელს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ შეწყვიტეს.

– ჩვენი ძირითადი საქმიანობა სოფლის მეურნეობაა. სინგჰების 90% ამ საქმიანობითაა დაკავებული. ჩვენ სოფლის მეურნეობას ვეკუთვნით და ის სისხლსა და ხორცში გვაქვს გამჯდარი, – აცხადებს NDTV-სთან საუბრისას საქართველოში ჩამოსახლებული ინდოელი ფერმერი რანჯობ სინგჰი.

– ყურადღება უნდა მიექცეს მიწების ყიდვის საკითხს. ეს არ უნდა მოხდეს პირდაპირი აკრძალვის გზით, არამედ, ჩვენი საკუთარი რესურსებისა და ინსტრუმენტების გაუმჯობესებით. ეს საკითხი უნდა მოგვარდეს ისე, რომ დაიცვას ჩვენი მიწების მფლობელები და არ მიყიდოს მიწები უცხოელებს, – აცხადებს NDTV-სთან საუბრისას „ქართველ ფერმერთა კავშირის“ დამფუძნებელი რაულ ბაბუნაშვილი.

როგორც სიუჟეტშია აღნიშნული, საქართველოს ახალმა მთავრობამ უკვე დაიწყო სოფლის მეურნეობის დახმარებისკენ მიმართული პროექტების განხორციელება, რომელიც ადგილობრივი მოსავლის გაზრდისკენაა მიმართული. ამ მიზნით მთავრობა თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო მეთოდების დანერგვას, მათ შორის ნიადაგის სარწყავი და თხევადი სასუქების გამოყენებას გეგმავს, – ნათქვამია ინდური ტელეკომპანია NDTV-ის სიუჟეტში.

* * *

ოკუპირებული ტერიტორიის მოსაზღვრე სოფელ დიცში ხმაურია. როგორც „ინტერპრესნიუსს“ კორესპონდენტი შემთხვევის ადგილიდან იტყობინება, სოფლის მოსახლეობისთვის ცნობილი გახდა, რომ სოფლის ტერიტორიაზე არსებული 140 ჰექტარი სარეზერვო ფართობი 2012 წლის დეკემბერში ინდოეთის მოქალაქეებზე გაიყიდა.

ინდოელებმა მიწის დამუშავება გუშინ ღამის საათებში დაიწყეს. დილით კი, როცა მოხნულ მიწის ფართობზე ხეხილის ნერგების გაშენება დაიწყეს, ადგილობრივმა მოსახლეობამ მათ ამის საშუალება არ მისცა.

სოფლის მოსახლეობამ ინდოელები იძულებული გახადა, ტერიტორია დაეტოვებინათ და ვაშლის ნერგების გასაშენებლად გამზადებული ორმოები მიწით ამოუვსო.

დიცელები აცხადებენ, რომ აღნიშნული ფართობები 2008 წლის ომის დროს საკუთარი სიცოცხლის ფასად დაიცვეს და არ აპირებენ სოფლის კუთვნილი ფართობები ინდოელებს დაუთმონ.

რედაქცია გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

◎ გაითვალისწინეთ!

აქტიური პროცესები აპრილში

აპრილში გეოფიზიკური აქტივობის გაძლიერება მოსალოდნელია: 10,14-20, 25-27, 30 რიცხვებში. ამ დღეებში შესაძლებელია ციკლონებისა და გრიგალების ჩამოყალიბება, ყველა სახის ავარიულობის ზრდა, სოციუმში დაძაბულობის გაძლიერება.

8 – მთვარე-მერკურის შეერთება. საალბათოა ნევროზები, განგაში და შეშფოთება, სირთულეები კომუნიკაციასთან დაკავშირებით. შესაძლებელია ტკივილები ხელებში, სასუნთქი ორგანოების დაავადებანი, მეტყველების დარღვევა. სასარგებლოა გასეირნება სუფთა ჰაერზე, სუნთქვითი ვარჯიშები, ინტელექტუალური მეცადინეობანი. ერიდეთ გონებრივ, ემოციურ და ფიზიკურ გადატვირთვებს. ფრთხილად იყავით გზებზე და ტრანსპორტით მგზავრობის დროს.

9 – მთვარე-ურანის შეერთება. მოულოდნელობათა, გეგმების შეცვლის დღეა. შესაძლებელია აღგზნება, თავის ტკივილი, უძილობა. რეკომენდებულია უარი ვთქვათ აღმგზნებ სასმელებზე, მოწევაზე, შოკოლადზე, მძიმე და ცხიმიან საკვებზე. არ არის საჭირო კბილის პროთეზირება, ამოღება და მკურნალობა, თმების გაკრეჭვა, თვალების გადაღლა. ერიდეთ დაცემებსა და ტრავმატიზმს. ხელსაყრელია გამაჯანსაღებელი ღონისძიებანი, ზომიერი ფიზიკური ვარჯიშები და სეირნობა. სერიოზული საქმეები ამ დღეებისთვის არ დაგეგმოთ.

10 – ახალი მთვარე, მთვარის შეერთება მარსთან და ვენერასთან. მოსალოდნელია არტერიული წნევის ვარდნები, გაღიზიანება, ტირილისადმი მიდრეკილება, დეპრესია, დაქვეითებული მუშაობის უნარი. შეიძლება გამწვავდეს ქრონიკული დაავადებანი, განსაკუთრებით – გულისა, სისხლძარღვებისა, სასუნთქი გზებისა. არ არის გამორიცხული კვებითი მოწამვლა. არ არის სასურველი ამ დღეს ქირურგიული ოპერაციები და ნემსების გაკეთება. რეკომენდებულია უარი ვთქვათ ალკოჰოლსა და ზედმეტ კვებაზე. საჭიროა უფრო დიდხანს დავისვენოთ და არ ჩავერთოთ კონფლიქტებში. ახალი მთვარე – ხელსაყრელი დროა მავნე ჩვევებზე უარის თქმისთვის და ახალი საქმეების დაწყებისთვის. იყავით ფრთხილად ცეცხლთან და წვეტიან საგნებთან, ერიდეთ გაციებას, გამოიყენეთ ხარისხიანი პროდუქტები. სასარგებლოა ფიზკულტურა და გასეირნება.

14 – მთვარე-იუპიტერის შეერთება. მერკური ვერძის პირველ, ვენერა კი უკანასკნელ გრადუსშია. შეიძლება შეინიშნებოდეს უყურადღებობა, გაფანტულობა, სიტუაციის არასწორი შეფასება. არახელსაყრელი დღეა საფინანსო საკითხების გადასაწყვეტად, უძრავ ქონებასთან დაკავშირებული გარიგების გაფორმებისთვის. შესაძლებელია ღვიძლის, სასუნთქი ორგანოების დაავადებანი, ტკივილები ხელებში, ფსიქიკური გაუწონასწორობლობა. რეკომენდებულია დავიცვათ დიეტა, ვერიდოთ დიდ გონებრივ და ფიზიკურ დატვირთვებს, თავშეუკავებლობასა და უგუნურ გულუხვობას. სასარგებლოა წყლის პროცედურები, აბანო, სუნთქვითი ვარჯიშები და სეირნობა.

18 – მთვარის პირველი მეოთხედი, მზე-მარსის შეერთება. შეიძლება შევიგრძნოთ ენერგიის მოზღვავება, სურვილი – გადავაკეთოთ ყველა საქმე, დიდია გულსისხლძარღვთა დაავადების გამწვავების ალბათობა, შესაძლებელია გონების დაკარგვა, ძილის დარღვევა. არ არის გამორიცხული მწვავე ინფექციური დაავადებანი, ტრავმები, ჭრილობები, დამწვრობა. ფრთხილად იყავით ცეცხლთან და წვეტიან საგნებთან, ერიდეთ ტრავმებსა და ხანძრებს, გადადეთ ურთიერთობათა გამორკვევა. სასარგებლოა გონებრივი, ფიზიკური დატვირთვა, ტანვარჯიში, გასეირნება, კარგია დღე მივუძღვნათ ბავშვებთან მეცადინეობასა და შემოქმედებას.

20 – მზე და მარსი გადადიან კუროს ნიშანში. მერკურისა და ურანის შეერთება. შესაძლებელია თავის ტკივილი, გაზრდილი აღგზნებადობა. საერთო წესებისადმი დამორჩილების სურვილის უქონლობა. არ არის გამორიცხული გულ-სისხლძარღვთა დაავადების, ყელ-ყურისა და ბრონქების გამწვავება, ტკივილები ხელებში, ნევროლოგია. ერიდეთ ცეცხლს, წვეტიან საგნებს, ორპირ ქარს, უხარისხო პროდუქტებს, დაცემებს. შესაძლებელია სისტემების მოშლილობა ტრანსპორტში და კომპიუტერებში.

25 – სრული მთვარე, 25-დან 26 დამით მთვარის დაბნელება. შესაძლებელია უძილობა, ტკივილი გულსა და სისხლძარღვებში, არტერიული წნევის გადიდება. დაბნელების წინა დღეს და მის შემდეგ არ არის სასურველი დიდი ფიზიკური დატვირთვები, მგზნებარე ემოციები, ალკოჰოლი, ორგანიზმი უნდა იყოს მსუბუქი, აზრები კი წმინდა. ნუ ჩაერთვებით კონფლიქტებში, გააკონტროლეთ თქვენი ემოციები, გადადეთ ურთიერთობათა გარკვევა. მიაჩნიათ, რომ ამ დღეს ჩვენ ვგეგმავთ პროგრამას მომავლისთვის. სასარგებლოა ჰაერის აბაზანები და სრულფასოვანი ძილი.

26 – მთვარე-სატურნის შეერთება. შეიძლება გაჩნდეს გაღიზიანება, ეჭვიანობა, შიშის გრძნობა. შესაძლებელია ანთებით-ინფექციური დაავადებანი, ტკივილები ძვლებსა და სახსრებში. მოწყვლადია შარდის ბუშტი და ნაწლავები, არ შეიძლება სიმძიმეების აწევა, ცხიმიანი და ცხარე საკვების, ალკოჰოლის მიღება. უნდა ვერიდოთ ტრავმატიზმს, გაციებასა და დიდ ფიზიკურ დატვირთვებს. არახელსაყრელი დროა შესყიდვებისთვის, ახალი საქმეებისა და ურთიერთობების დაწყებისთვის. ახალ ვალდებულებათა აღების დროს გულდასმით შეაფასეთ თქვენი ძალები და შესაძლებლობანი.

30 – მთვარე-პლუტონის შეერთება. შესაძლებელია ძალების დაცემა, დაქვეითებული ემოციური ტონუსი, პრობლემები სახლში და სამსახურში. დიდია მოტეხილობის ალბათობა, არ არის გამორიცხული შარდ-სქესოვანი სფეროს ორგანოების დაავადებანი. არასასურველია გაციება, მძიმე და ინტენსიური ფიზიკური დატვირთვები. სასარგებლოა კანის მოვლა და გამაჯანსაღებელი პროცედურები.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ გაითვალისწინეთ!

მაქცია გასაყიდად

ჩვეულებრივი ნივთები თავის ჭეშმარიტ არსს მალავენ

ერთი წლის წინათ გაერო გამოვიდა წინადადებით, შემოიღონ დამატებითი გადასახადი ჰამბურგერებზე, გაზიან სასმელებსა და სხვა პროდუქტებზე შაქრის, ცხიმისა და ა.შ. გაზრდილი შემადგენლობით. მაგრამ იყო დრო, როდესაც ბევრი რამ ითვლებოდა არა საწამლავად, არამედ წამლად და იყიდებოდა... აფთიაქებში.

ასეთი „მაქციები“ საკმაოდაა. ჩვენ გავაკეთეთ ყველაზე შეუწყნარებელი მაგალითების შენარჩევი.

სანთებელა

ჩხაპ — და უკვე ექაჩები სიგარეტს, რომელიც, როგორც ცნობილია, კლავს. არის ამაში ბედის ირონია — იგივე კბილოვანი პატარა ბორბალი, რომელიც სანთებელას ახლავს, გათვალისწინებული იყო სწორედ მკვლელობისთვის. მხოლოდ არა ნელი მკვლელობისთვის, როგორც სიგარეტის შემთხვევაში, არამედ ელვისებურისა. ამ მექანიზმის გამოგონების პატივი ეკუთვნის დიდ ჰუმანისტს — ლეონარდო და ვინჩის. ის გათვალისწინებული იყო იმ დროისთვის განადგურების ყველაზე სრულყოფილი იარაღისთვის — პისტოლეტისთვის ბორბლიანი საკეტით.

ოდეკოლონი

ჩვენს დღეებში ოდეკოლონის „სწორი“ მოხმარების დემონსტრირებას ახდენენ მხოლოდ მთლად ხელიდან წასული ალკოჰოლიკები, ნაბახუსევიდან გამოსასვლელად იაფფასიან ოდეკოლონს რომ გადაჰკრავენ ხოლმე. არადა, თავდაპირველად „წყალი კელნიდან“ (სწორედ ასე ითარგმნება სიტყვა „ოდეკოლონი“) გათვალისწინებული იყო კუჭის სპაზმებისა და თავის ტკივილის მოსახსნელად და მას სვამდნენ. თუმცა, მოყუდებით დალევა არ იყო საჭირო — საკმარისი იყო ხუთი წვეთი ჭიქა წყალზე. ან შაქრის ნატეხზე, რასაც დიდ უპირატესობას ანიჭებდა სიტკბოს დიდი მოყვარული ნაპოლეონ ბონაპარტე.

ბენზინი

ერთმა გერმანელმა გამომგონებელმა, ვისი სახელიც გოტლიბ ვილჰელმი იყო, მეაფთიაქის ქალიშვილი შეირთო ცოლად. თითქოსდა, რა მოხდა მერე? ის მოხდა, რომ იგი ატარებდა დაიმლერის გვარს. დიახ, სწორედ ის, ვინაც პირველმა დააპატენტა „თვითმოძრავი ეკიპაჟი შიგაწვის ძრავით“. და აქ მნიშვნელოვანი როლი პირველი ავტომობილის საწვავის შერჩევისთვის შეასრულა სიმამრის რჩევამ. იმ დროს ბენზინი ტალახზე იაფი ღირდა და იყიდებოდა აფთიაქებში ხუთლიტრიანი ბოთლებით, როგორც „მსოფლიოში საუკეთესო ლაქისამომყვანი და ანტისეპტიკი“. ასე რომ, დაიმლერს ავტოგასამართ სადგურებთან პრობლემები არ ჰქონია — აფთიაქი ყოველ მოსახვევში იყო, სიმამრთან კი შეიძლებოდა გაგემართა მანქანა უფასოდაც.

შიფერი (აზბესტი)

რა არის საერთო შიფერის პროზაულ სახურავსა და XVIII საუკუნის გალანტურ არისტოკრატიულ სალონს შორის? პასუხი მოულოდნელია: აზბესტი. ეს მინერალი, რომელიც თანამედროვე სახურავის საფარის შემადგენლობაში შედის, ოდესღაც იყო მეტად პოპულარული, როგორც საინტერესო სამკაულის შემადგენლობა. პარიკების დროს აზბესტის საშინელი კანცეროგენული თვისებების შესახებ ჯერ არაფერი იცოდნენ. ამიტომ ილებდნენ „რბილ ქვას“, ამტვრევდნენ მას ჩაქუჩით ბოჭკოებად, ჩეჩავდნენ და ფლეთდნენ, როგორც სელს და ქსოვდნენ „უწვავ მაქმანებად“. პრიორიტეტი რუსეთის ურალს ეკუთვნის — პირველი „ქვის მანქანა“ დავიდოვების ქარხნებში დაამზადეს.

რაბიცას ბადე

გერმანელი ქვისმტეხი კარლ რაბიცისთვის რომ ეთქვათ, რომ მისი აღმოჩენით შემორაგვავდნენ მსოფლიოს თითქმის ყველა საბაღო და სააგარაკო ნაკვეთებს, ის თითს საფეთქელთან დაიტრიალებდა. მართლაც — ვის მოუვა თავში აზრად — გამოიყენოს ღობედ ბადე, რომელიც გათვალისწინებულია იმისთვის, რომ გამოიყენონ კედლების ბათქაშისთვის? ასე რომ, თავდაპირველად ყველასთვის ცნობილ ღობეს მალავდნენ კირისა და ცემენტის, საღებავისა და შპალერის სქელი ფენების მიღმა. სხვათა შორის, მიმდინარე წელს კარლ რაბიცას პატენტს 135 წელი უსრულდება.

ჰეროინი

XIX საუკუნის ყველაზე საშინელ ავადმყოფობად ტუბერკულოზი ითვლებოდა. გერმანელმა ქიმიკოსმა — მოღვაწე ფელიქს ჰოფმანმა თავისი ცხოვრება ამ სენთან ბრძოლას მიუძღვნა. და აი, არასრული ერთი წლის შუალედით ის ორი ნივთიერების სინთეზირებას ახდენს. ერთი დაბლა სწევს ტემპერატურას, მეორე — გვიხსნის ხველებას. ტუბერკულოზის სიმპტომის მოხსნის ეფექტიანობის მიხედვით მეორე უფრო მკვეთრი აღმოჩნდა. და დაიწყეს საბავშვო ჰეროინის წარმოება მრავალ ქვეყანაში, მათ შორის ახალგაზრდა სსრ კავშირშიც. აფთიაქებში ის იყიდებოდა ურეცეპტოდ. მოცულობა იყო გამაოგნებელი — 34 ტონა წელიწადში...

◎ ჩვენი პრესდაიჯესტი

ვაკცინაციის გარეშე

„ძალ პატიმრებს ჯანმრთელ ორგანოებს აჭრიდნენ“

— ამბობს უფლებამცველი ნანა კაკაბაძე, — არის იმის მტკიცებულებები, რომ ხდებოდა არამიზნობრივი ოპერაციები და ძალიან ხშირად ოპერაციები უტარდებოდათ განსაკუთრებით ქალთა კოლონიის პატიმარ ქალებს. ასეთები ხდებოდა სხვა კოლონიებშიც, მაგრამ მე ეს ვიცი ქალთა კოლონიის მისამართით. იქ ძალიან ხშირი იყო ოპერაციები, აჭრიდნენ ორგანოებს... აქ იყო იმის ინტერესი, რომ ეკეთებინათ ფული...

„ახალი თაობა“

რუსეთში, პირველ რიგში, მწვანილსა და საადრეო ბოსტნეულს გაიტანენ

ქართული ღვინისა და უალკოჰოლო სასმელების შემდეგ, რუსეთში ხილ-ბოსტნეულის ექსპორტიც განახლდება. მხარეებს შორის პრინციპული თანხმობა მიღებულია. ექსპერტი, სავარაუდოდ, მაისიდან დაიწყება. როგორც რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში პრემიერ-მინისტრის მრჩეველი ზურაბ აბაშიძე ამბობს: „ვისაც ექნება სურვილი და შესაძლებლობა, საკუთარი პროდუქცია რუსეთში გაიტანოს, არ შეიზღუდება“.

„რეზონანსი “

◎ ინფორმაცია

„ღორის გრიპმა“ იკლო, წითელამ იმატა

როგორც „ინტერპრესნიუსთან“ საუბრისას დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა, ამირან გამყრელიძემ განაცხადა, მიმდინარე წელს H1N1-ის 310 შემთხვევა დაფიქსირდა. მათ შორის 28 პაციენტი გარდაიცვალა. მისივე ინფორმაციით, დღეის მდგომარეობით, ღორის გრიპის შემთხვევებმა იკლო.

რაც შეეხება წითელას, რეგისტირებულია 726 შემთხვევა, მათ შორის 566 შემთხვევა — თბილისში. წითელას ინფექციით 11 თვის გოგონა და 19 წლის ახალგაზრდა მამაკაცი გარდაიცვალნენ.

ამირან გამყრელიძის ინფორმაციით, წითელას საწინააღმდეგო ვაქცინაცია 7 წლამდე ასაკის იმ ჯგუფებისთვის უფასოა, რომლებსაც გამოტოვებული აქვთ გეგმური აცრა. ასევე, უფასოა წითელას საწინააღმდეგო ვაქცინაცია წითელათი დაავადებულ პაციენტებთან კონტაქტში მყოფი ადამიანებისთვის.

რამდენიმე დღეში უფასო ვაქცინაცია სამედიცინო მუშაკებსაც ჩაუტარდებათ.

ინტერპრესი

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

◎ ანეკდოტები

— თქვენთვის არ შეიძლება ღვინის სმა, მოწევა, შემთხვევითი სექსი, ბანქოს თამაში...
— ეუბნება ექიმი პაციენტს.
— ჰო? და მაინც რამდენი გადაგიხადათ ამისთვის ჩემმა ცოლმა?

* * *

— აი, თქვენ ამბობთ, ბოროტება არ უნდა დაიხსომოო... აბა, რა, ადამიანი ცდილობდა და მე დავივიწყო?

* * *

ცოლს არ უნდოდა მთვრალი ქმრის გაღვიძება. იქნებ ესეც გახდა ავარიის მიზეზი.

* * *

— ივან, იქნებ ტელეფონის ნომრები გავცვალოთ?
— რატომ? მე ჩემი ნომერიც მომწონს.



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა მაშაკიძე 514 33-33-24

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com